„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ წლიური ანგარიში -2021



სარჩევი

აღმასრულებელი დირექტორის მიმართვა	6
აქტიურობა საერთაშორისო პარტნიორებთან	10
მუნიციპალური არჩევნები, საჯარო ფინანსები	14
ურთულესი წელი მედიისთვის	18
ანტიკორუფციული სტაგნაცია	24
რეგიონული ფოკუსი კორუფციაზე	28
სამოქალაქო საბჭოები - 3000-ზე მეტი მოქალაქის ხმა ადგილობრივ თვითმმართველობებში	34
მართლმსაჯულება სისტემური ცვლილებების მოლოდინში	40
მოგებული საქმეები - 2021	44
პარლამენტი - ჩვენი დაკვირვების სამიზნე	49
პიარ აქტივობები - 2021	53
ჩვენ მედიაში	64
ვებგვერდები - ჩვენი საამაყო პროდუქტი	66
კარგი კარიერული ბიძგი - სტაჟირების წარმატებული პროგრამა	72
კორუფციის აღქმის ინდექსი 2021	79
ვაჯამებთ 2021 წელს - ვგეგმავთ 2022-ს	80
დონორები	82
ფინანსური მონაცემები	83

“საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს” გუნდი 2021 წელს

აღმასრულებელი დირექტორის, ეკა გიგაურის მიმართვა

მოგესალმებით მეგობრებო,

დიდხანს ვფიქრობდი, როგორ დამეწყო დაუსრულებელი პოლიტიკური კრიზისის მორიგი წლის შეფასება და მივხვდი, რომ პირველი აქცენტი ჩვენი საქმიანობის იმ საამაყო მიმართულებებზე უნდა გამეკეთებინა, რომლებიც კონკრეტული მოქალაქეების დახმარებას და მათი მადლიერებით მოგვრილ კმაყოფილებას უკავშირდება, რომელიც კიდევ უფრო მეტი კარგი საქმის კეთებისკენ გვიბიძგებს.

მაშ ასე, მეგობრებო - 2018 ჩვენს მოქალაქეს ჩავუსახეთ მომავლის იმედი იმ უფასო იურიდიული კონსულტაციების შედეგად, რომლებიც მათ ჩვენმა იურისტებმა 2021 წლის განმავლობაში გაუწიეს. 68 საქმე მოვიგეთ სასამართლოებში. შედეგად კი სახელმწიფოსგან უკანონოდ დაჩაგრული ჩვენი მოქალაქეები კომპენსაციის სახით **1 244 117** ლარს მიიღებენ, **28 551** კვ.მ მიწა კი საკუთრებაში დაუბრუნდებათ, რითაც ნაწილობრივ მაინც შევუმსუბუქებთ უსამართლობის განცდას!

მინდა, ყველამ, ვისაც სახელმწიფო სამსახურში უკანონოდ მოექცევიან, მიწის დაკანონებაზე ბარიერებს შეუქმნიან ან ნებისმიერი სხვა მიმართულებით უფლებებს დაარღვევენ, იცოდეს, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ ის ადგილია, სადაც მათ ყოველთვის დახმარების ხელს გავუწვდით და რაც მთავარია, საქმეს ბოლომდე მივიყვანთ.

საქმის წარმატებამდე მიყვანა რომ შეგვიძლია, ამას ჩვენი სამოქალაქო საბჭოების საქმიანობის შედეგებიც ადასტურებს რეგიონებში. ჩვენ საბჭოებში ის ენთუზიასტი ადამიანები მოვიზიდეთ, რომლებიც თავიანთ სოფლებსა და მუნიციპალურ ცენტრებში პრობლემებს აიდენტიფიცირებენ და ჩვენი დახმარებით, მერიებამდე თუ საკრებულოებამდე მიაქვთ თანასოფლელების სატკივარი, რათა უსწრაფესად მოგვარდეს გზების, უწყლობის, უტრანსპორტობის, საბავშვო ბაღების, სკოლების, ბიბლიოთეკების, სპორტული მოედნების მოწყობის თუ სხვა ინფრასტრუქტურული პრობლემები.

2021 წელს სამეგრელოში, იმერეთში, აჭარაში, სამცხე-ჯავახეთში ჩვენი ძალისხმევით **95** ასეთი პრობლემა მოგვარდა - რაც ყველაზე მეტად მახარებს, ჩვენს მიერ მოფიქრებულ ამ სქემაში უამრავი მოქალაქე ერთვება და იძენს უნარებს, რომ ხელისუფლებას საქმის კეთება თავადვე მოთხოვოს.



ცხადია გვერდს ვერ ავუვლი იმ გამოწვევებს, რომლითაც სავსე იყო 2021 წელი.

ამ მხრივ საქართველოს სინამდვილეში უპრეცედენტო იყო და უკიდურესად საგანგაშო ფორმები მიიღო ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტებმა - წლის განმავლობაში ჟურნალისტებზე ძალადობის 93 შემთხვევა აღვნუსხეთ, უმეტესობა მათგანი 5 ივლისის აქციაზე მოხდა, როცა აგრესიულმა ჯგუფებმა პირდაპირ ნადირობა მოაწყვეს მედიის წარმომადგენლებზე. ამ დაუნდობელი ქმედებების შემდეგ ტვ პირველის ოპერატორი ლექსო ლაშქარავა გარდაიცვალა. სახელმწიფომ არათუ ვერ უზრუნველყო ჟურნალისტების უფლებების დაცვა, არამედ წაახალისა აგრესიული ჯგუფები. ჩვენ 24 დაზარალებული ჟურნალისტის კოლექტიური სარჩელი მოვამზადეთ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რათა მას დაეკისროს მომხდარზე პასუხისმგებლობა.

საერთოდ ჯამში, წლის განმავლობაში 200-მდე ჟურნალისტის უფლებებს ვიცავდით სასამართლოში, ასევე გვერდით ვედექით იმ სამოქალაქო აქტივისტებს, რომელთა უსაფუძვლო დაკავებებიც ხელისუფლებას სამწუხარო ჩვევად ექცა.

წლის განმავლობაში არაერთი კორუფციული ფაქტის შესახებ ვაცნობეთ საზოგადოებას. ჩვენივე წარმოებული მულტიმედიური პროდუქტითა და მედიის დახმარებით, ვეცადეთ რეალური სურათი გვეჩვენებინა იმისა, თუ რა მასშტაბებზე იკიდებს ფეხს მაღალი დონის კორუფცია და დაუსჯელობის სინდრომი რამდენად უწყობს ხელს ასეთი შემთხვევების მატებას. **ჩვენი მიზანია მოქალაქეებს მარტივად ავუხსნათ, თუ რა კავშირია მათ ცარიელ მაცივარსა და ჩინოვნიკების მიერ მითვისებულ სახელმწიფო ფულს შორის,** რომ სწორედ მათი გაღარიბების ხარჯზე მდიდრდებიან მმართველ პარტიასთან აფილირებული ადამიანები. მჯერა, რომ ჩვენს აქტიურობას, იმის მიუხედავად მოყვება თუ არა კორუფციულ ფაქტებს შესაბამისი რეაგირება, მნიშვნელოვანი პრევენციული ეფექტი აქვს და ჩვენ მხილების მიმართულებით კიდევ უფრო გავაძლიერებთ მუშაობას.

2021 წელს გვქონდა ადგილობრივი არჩევნები, რომლის ორივე ტურზე დაკვირვების და სიღრმისეული ანგარიშების მომზადების შედეგად მივედით დასკვნამდე, რომ საარჩევნოდ გამოვლენილ დარღვევებსა და პრობლემურ ტენდენციებს მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება მოეხდინა ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენასა და არჩევნების საბოლოო შედეგებზე იმ პირობებში, როცა ბევრ საარჩევნო ოლქში კანდიდატებს შორის ხმათა მცირე სხვაობა დაფიქსირდა და მხოლოდ რამდენიმე ოლქში შეძლო ოპოზიციამ გამარჯვების მოპოვება. ამ არჩევნებმა ნათლად აჩვენა, რომ საზოგადოებას ერთპარტიული მმართველობა აღარ უნდა, სურს ცვლილებები და კოალიციციური მმართველობა, რისი პრეცედენტიც ზოგიერთ ახლადარჩეულ საკრებულოში შეიქმნა კიდეც.

2021 წელს შევაფასებდი ჩვენი დასავლელი პარტნიორების იმედგაცრუების წლად. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, როცა საქართველოში პოლიტიკური კრიზისის მოგვარებაში პოლიტიკური ძალებს შორის უმაღლესი დონის შუამავლობა იტვირთა ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა და მძიმე მოლაპარაკებების შედეგად დაიდო ქვეყნის გაჯანსაღებისა და ევროპისკენ მიმავალი რეფორმების საგზაო რუკა, რაშიც ჩვენს მოკრძალებულ წვლილსაც აღვნიშნავდი. სამწუხაროდ, ამ შეთანხმებამ ნაწილობრივ იმუშავა - ოპოზიციამ ახლადარჩეული პარლამენტის ბოიკოტი შეწყვიტა, პოლიტიკური ნიშნით დაკავებული ზოგი პირი გათავისუფლდა, გარკვეული საარჩევნო წესები უკეთესობისკენ შეიცვალა, თუმცა იმ პუნქტების უმეტესობა, რომლებიც დაბალბარიერიანი პროპორციული საარჩევნო სისტემის შემოღებას, სასამართლოს და პროკურატურის რეფორმას, პარლამენტში ძალაუფლების განაწილებას ეხება, თაროზე შემოიდო მას შემდეგ, რაც ჟარგონზე რომ ზუსტად აღვწერო, „დიდი გადაგდება“ მოხდა - მმართველმა პარტიამ შეთანხმება ანულირებულად გამოაცხადა და ამით, კიდევ ერთხელ უთხრა საზოგადოებას, რომ მზად არ არის რეფორმების დასაწყებად.

ანტიდასავლური პროპაგანდის და რუსული რბილი ძალის გააქტიურების ფონზე, როცა ხელისუფლება არათუ ამის წინააღმდეგ მოქმედებს, არამედ ფაქტიურად თავად უწყობს ხელს დემოკრატიულ უკუსვლას და ხალხის მიერ არჩეული დასავლური კურსის საპირისპიროდ მოქმედებს, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს საზოგადოებრივი აქტიურობა ყველაფერ ამის შესაკავებლად. ამიტომ, ჩვენი მრავალწლიანი კამპანია #ძალაევროპაშია 2021 წელს კიდევ უფრო საჭირო გახდა. ჩვენი წამოწყებული სატელევიზიო გადაცემათა ციკლი “ჩვენებური ევროპა” და მისი წამყვანი გიორგი უშიკიშვილი ალბათ ბევრი თქვენგანის ოჯახს ეწვია ევროპასთან დაკავშირებული საინტერესო ისტორიებით.

2021 წელი გამორჩეული იყო იმითაც, რომ ჩვენი ორგანიზაცია და მისი მოტივირებული გუნდი კიდევ ერთხელ დააფასეს საერთაშორისო მასშტაბით, როცა ახლა უკვე 3 წლის ვადით „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ გლობალური ქსელის ბორდში ხელახლა ამირჩიეს.

გამორჩეული მადლობა ჩვენს დაუღალავ გუნდს და დონორებს იმისთვის, რომ ქვეყნისთვის ბევრი კარგი და სასარგებლო საქმის კეთების შესაძლებლობა გვაქვს!

აქტიურობა საერთაშორისო პარტნიორებთან

გიორგი ონიანი

აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

2021 წელი განსაკუთრებული და გამოწვევებით სავსე აღმოჩნდა. პანდემიით გართულებულ ყოველდღიურობას, როდესაც ორგანიზაცია პერიოდულად დისტანციური მუშაობის რეჟიმზე გადადიოდა, დაემატა გართულებული პოლიტიკური გარემო მთავარ პოლიტიკურ ძალებს შორის, რომელიც არჩევნების მოახლოვებასთან ერთად კიდევ უფრო იძაბებოდა. ბუნებრივია, ეს ყველაფერი სამოქალაქო სექტორსა და მის მნიშვნელოვან მოთამაშეებსაც შეეგვეხო.

მიუხედავად იმისა, რომ სერიოზულ ღია თავდასხმებს ადგილი არ ჰქონია, გართულდა ზოგადი გარემო, რაც ყველაზე მეტად ხელისუფლების მხრიდან ჩვენთან თანამშრომლობის სურვილის არარსებობაში აისახა. ხელისუფლებამ ფაქტიურად უარი თქვა ყველა გრძელვადიანი რეფორმის განხორციელებაზე, რომელიც კარგი მმართველობის ან კორუფციის მიმართულებით ქვეყანას წინ წასწევდა. ეს იყო ნაწილი დიდი სურათისა, როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა ნაკლებად დემოკრატიული ქვეყნის მთავრობამ გამოიყენა პანდემია თავისი ძალაუფლების განსამტკიცებლად.

ასეთ პირობებში, ჩვეულ საქმიანობასთან ერთად, ორგანიზაცია ახორციელებდა აქტიურ ურთიერთობასა და კონტაქტების გაფართოვებას მთავარი სტრატეგიული მიმართულებებით - პირველ რიგში აშშ-სა და ევროკავშირის ინსტიტუტებთან.

ივლისში, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, ჩვენ გვქონდა ვიზიტი ვაშინგტონში, სადაც გავმართეთ შეხვედრები სახელმწიფო დეპარტამენტში, უშიშროების საბჭოში, წარმომადგენელთა პალატასა და სენატში, ისევე როგორც შევხვდით არასამთავრობო სექტორისა - NDI, IRI, Freedom House, Heritage Foundation, CEPA და საექსპერტო წრეებს. ამ შეხვედრეზე ვსაუბრობდით ქვეყანაში კარგი მმართველობისა და დემოკრატიულ განვითარებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე, თუმცა აქცენტს ვაკეთებდით გამოსავლის გზებზე და ამ საქმეში ჩვენი პარტნიორების მნიშვნელოვან როლზე. ჩვენი პარტნიორები ტრადიციულად ინტერესდებოდნენ ქვეყანაში მიმდინარე პროცესების ჩვენეული შეფასებითა და დემოკრატიის ხარისხის საკითხებით, განსაკუთრებით კი სასამართლოს დამოუკიდებლობის, მედია გარემოსა და სახელმწიფოს მიტაცების თემებით. ჩვენი ვიზიტი დაემთხვა კონგრესში გლობალური ანტი-კორუფციული სამუშაო ჯგუფის (Counter-kleptocracy caucus) შექმნას, რომლის მიზანიც მსოფლიოს მასშტაბით კორუფციაში ჩართული ხელისუფლებების წარმომადგენელთა წინააღმდეგ ამერიკის მთავრობის კონსოლიდირებული პასუხის უზრუნველყოფაა. ვიზიტის შედეგად მნიშვნელოვანი ახალი კონტაქტები შევიძინეთ გლობალური ანტიკორუფციული აქტივიზმის მიმართულებით, ისევე, როგორც გავიცანით პრეზიდენტ ბაიდენის ადმინისტრაციის ახლადდანიშნული თანამდებობის პირები, რომლებიც ჩვენი რეგიონის პრობლემატიკაზე მუშაობენ.

ჩვენი ვიზიტი ივლისის დასაწყისში გაიმართა და ბუნებრივია, განხილვის ერთ-ერთი მთავარი საკითხი თბილისში, 5 ივლისს მედიის წინააღმდეგ გამოვლენილი აგრესია და ხელისუფლების მხრიდან მათზე პასუხი იყო. სამართალდამცავ უწყებათა არაჯეროვანმა მოქმედებამ, და ზოგიერთი უმაღლესი თანამდებობის პირების უპასუხისმგებლო და ძალადობის წამახალისებელმა გამონათქვამებმა ჩვენი ამერიკელი პარტნიორების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. ამ ყურადღების გამოვლინება იყო სახელმწიფო დეპარტამენტის და პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ძალიან მკაცრი საჯარო განცხადებებიც, რომელიც ჩვენი ვიზიტის დროს და მის შემდეგ გაკეთდა.

წლის ბოლოს, არჩევნების შემდეგ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად ბრიუსელს ვეწვიეთ, სადაც პარტნიორებს ევროკავშირში ვესაუბრეთ ქვეყანაში არსებულ პრობლემატიკაზე, ხელისუფლების ანტი-დასავლურ განცხადებებზე და ნაბიჯებზე, რაც დიდი შეშფოთებით იქნა აღქმული. ჩვენი პარტნიორები დიდი ინტერესით ისმენდნენ როგორც ზოგად შეფასებებს დემოკრატიის ხარისხისა და სახელმწიფო ინსტიტუტების შესახებ, ასევე ჩვენგან იგებდნენ ინფორმაციას იმ რეფორმების საჭიროების შესახებ, რომელთა განხორციელება საქართველოს ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ეკისრება.

ხელისუფლების მხრიდან რეფორმებზე უარის გამოვლინების ცხადი მაგალითი იყო ღია მმართველობის პარტიორობის (OGP) პროცესი - უფრო სწორედ კი მისი არარსებობა. ზაფხულში, ამ პროცესში ჩართული არასამთავრობოები შეხვედრაზე მიგვიწვია მთავრობის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა და ამ პროცესის განახლება აღგვითქვა, თუმცა წლის ბოლომდე ეს დაპირება არ შესრულებულა. შედეგად, 2021 წლის განმავლობაში ღია მმართველობის პროცესი ფაქტიურად შეჩერებული იყო.

რომ შევაჯამოთ, 2021 კიდევ ერთი რთული წელი გამოდგა საქართველოს დემოკრატიული განვითარების თვალსაზრისით და კიდევ უფრო აშკარად გამოიკვეთა უარყოფითი ტენდენციები ინსტიტუციური დემოკრატიის და ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური კურსის ურყევობის მიმართულებით.

მუნიციპალური არჩევნები, საჯარო ფინანსები

ლევან ნატროშვილი

პროგრამების მენეჯერი

2021 წელი მუნიციპალიტეტის ორგანოთა არჩევნების წელი იყო. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" არჩევნების როგორც პირველ, ისე მეორე ტურსაც დააკვირდა, რომელთა შედეგადაც 64 მუნიციპალიტეტში მერები და საკრებულოს წევრები იქნენ არჩეული. თითოეული ტურისთვის ჩვენ 300-მდე მოკლევადიანი დამკვირვებელი შევარჩიეთ, რომელთა მეშვეობითაც გავუწიეთ საარჩევნო პროცესებს ზედამხედველობა.

ორგანიზაციამ წლის განმავლობაში არჩევნებთან დაკავშირებით **2 მოცულობითი ანგარიში და ათეულობით განცხადება/ შეფასება გამოაქვეყნა,** რაშიც დიდი წვლილი შეიტანეს ჩვენმა იურისტ/ანალიტიკოსებმა ***გიგი ჩიხლაძემ*** და ***თამთა კახიძემ.***

ჩვენი შეფასებით, წინასაარჩევნო გარემო მეტნაკლებად კონკურენტული იყო, ყველა პარტიას შეეძლო ეწარმოებინა წინასაარჩევნო კამპანია, თუმცა მმართველი პარტია სარგებლობდა დიდი უპირატესობით, მის მხარეს ადმინისტრაციული და სხვა ტიპის რესურსების მობილიზაციის გამო. წინასაარჩევნო გარემო დააზიანა პოლიტიკური ნიშნით ზეწოლის, მუქარის, ასევე სამსახურიდან გათავისუფლებისა ან წასვლის იძულების ფაქტების სიმრავლემ და შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მხრიდან ასეთი შემთხვევების არაეფექტიანმა გამოძიებამ. ზეწოლა-მუქარის შემთხვევებში ხშირად იკვეთებოდა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ჩართულობა. წაშლილი იყო ზღვარი მმართველ პარტიასა და სახელმწიფოს შორის, ადგილი ჰქონდა საარჩევნოდ მოტივირებული არაერთი სოციალურ-ეკონომიკური პროგრამისა და პროექტის ინიცირებას და საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა მმართველი პარტიის აგიტაციაში აქტიურ მონაწილეობას. პარტიების ფინანსურ შესაძლებლობებს შორის მნიშვნელოვანი დისბალანსი ამ არჩევნებზეც თვალშისაცემი იყო.

საბოლოოდ, ვინაიდან ბევრ საარჩევნო ოლქში კანდიდატების მიერ მიღებულ ხმებს შორის მცირე სხვაობა დაფიქსირდა, წინასაარჩევნო პერიოდსა და არჩევნების დღეს გამოვლენილ დარღვევებსა და პრობლემურ ტენდენციებს მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება მოეხდინა ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენასა და არჩევნების საბოლოო შედეგებზე. ამის გამო, **შესაძლოა, საზოგადოებაში საფუძვლიანი კითხვები არსებობდეს არჩევნების სამართლიანობასთან დაკავშირებით.**

საარჩევნო წლის დიდი ნაწილი საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებებს დაეთმო, რაშიც **ჩვენი ორგანიზაციაც აქტიურად იყო ჩართული.** სამუშაო პროცესი რამდენიმე თვეს გაგრძელდა და დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში, ასევე, აისახა პოლიტიკურ პარტიებს შორის 2021 წლის 19 აპრილს გაფორმებული შეთანხმებით გათვალისწინებული დებულებებიც.

ივნისში საქართველოს პარლამენტმა საარჩევნო კოდექსში დაამტკიცა ცვლილებები, რომლითაც რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი უფრო სამართლიანად და უკეთესად მოაწესრიგა, თუმცა, კანონში არ აისახა გარკვეული თემები, რომელთა შეცვლაც აუცილებელია საარჩევნო ადმინისტრაციის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის საარჩევნო სისტემის და სხვა რეგულაციების გასაუმჯობესებლად. დასანანია, რომ ცესკოს თავმჯდომარისა და წევრების არჩევის ისეთი ერთჯერადი წესი დადგინდა, რომელმაც პოლიტიკურ ძალებს შორის კონსენსუსის აუცილებლობას ფაქტიურად შინაარსი გამოაცალა და საბოლოოდ, ცესკოში თანამდებობებზე მხოლოდ მმართველი პარტიისთვის სასურველი პირები აირჩნენ.

ამასთანავე, 2021 წელს ჩვენ რეგულარულად ვაქვეყნებდით კვლევებს საჯარო ფინანსების შესახებ, რომელთა ავტორი ჩვენი *უფროსი ეკონომისტი* ***ბესო ნამჩავაძე*** იყო. საჯარო ფინანსების ერთ-ერთი მიმართულება სახელმწიფო შესყიდვებია, რომელსაც რეგულარულად ვადევნებთ თვალს. პანდემიიდან გამომდინარე, სახელმწიფო შესყიდვებში გამარტივებული (პირდაპირი) შესყიდვების წილმა მოიმატა, ამ დროს კი კორუფციისა და არასათანადო პრაქტიკის რისკები იზრდება. 2021 წელს დეტალურად შევისწავლეთ სახელმწიფო შესყიდვების ორი უმსხვილესი სექტორი - **სამშენებლო და სატრანსპორტო შესყიდვები.** კონტრაქტორებს შორის ამჯერადაც აღმოვაჩინეთ მმართველი პარტიის ბევრი შემომწირველი, რაც პოლიტიკურ კორუფციის ეჭვებს აჩენს.

გასულ წელს, ასევე, აღსანიშნავი იყო ჩვენი **კვლევა საქართველოში მოქმედი ოფშორული კომპანიების შესახებ.** საქართველოს სამეწარმეო რეესტრში ოფშორთან დაკავშირებული 3,200-მდე კომპანიაა რეგისტრირებული და ვინაიდან სახელმწიფო სექტორში დასაქმებულ მაღალი თანამდებობის პირებს ბიზნეს საქმიანობა ეზღუდებათ, შესაძლოა, კონფიდენციალურობის შესანარჩუნებლად სწორედ ოფშორში რეგისტრირებულ კომპანიებს იყენებდნენ და სახელმწიფო პროექტებში, პრივატიზაციაში და სახელმწიფო შესყიდვებში ფარულად მონაწილეობდნენ. კვლევის ფარგლებში მოხერხდა ისეთი 11 ოფშორული კომპანიის იდენტიფიცირება, რომელიც მმართველი პარტიის დამფუძნებელთან ბიძინა ივანიშვილთან არის დაკავშირებული. ასევე, ოფშორებში რეგისტრირებული კომპანიები ფლობენ ისეთ მსხვილ საწარმოებს, როგორიცაა „თბილისი ენერჯი“, „ბილაინი“, „აიდიეს ბორჯომი“, „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“, „რუსთავის ფოლადი“, „სილქ როუდ გრუპ ჰოლდინგი“ და სხვა.

ტრადიციულად, **შევაფასეთ სახელმწიფო ბიუჯეტის 6 თვის შესრულების ანგარიში და 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი.** ცალკე აღნიშვნის ღირსია ავტორიტეტული საერთაშორისო კვლევა „ღია ბიუჯეტის ინდექსი” (OBS), რომლითაც საერთაშორისო ორგანიზაცია „საერთაშორისო საბიუჯეტო პარტნიორობა” (IBP) სახელმწიფოების ცენტრალურ ბიუჯეტებს აფასებს და რეიტინგს ადგენს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო” ამ ორგანიზაციასთან არა ერთი წელია თანამშრომლობს და ბიუჯეტირების პროცესში საქართველოს სხვადასხვა საჯარო ინსტიტუტის საქმიანობას აფასებს. 2021 წელს დასრულდა კვლევაზე მუშაობა და მისი შედეგები 2022 წლის აპრილში გამოქვეყნდება.

ურთულესი წელი მედიისთვის

მამუკა ანდღულაძე

მედია გუნდის ლიდერი

სულ უფრო და უფრო რთული და შეიძლება ითქვას, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ხდება საქართველოში კრიტიკული მედიის წარმომადგენელთა საქმიანობა. მედია გარემოს გაუარესებამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო, რამაც კრიტიკულ ზღვარს 2021 წელს მიაღწია. წლის განმავლობაში **ჟურნალისტებზე ძალადობის 93 შემთხვევა** აღვნუსხეთ, რაც უპრეცედენტო და საგანგაშო მონაცემია ქართულ სინამდვილეში.

მარტო 5-6 ივლისს ჟურნალისტებზე მასშტაბური ძალადობის შედეგად სულ მცირე 53 ჟურნალისტი დაშავდა. 11 ივლისს სახლში გარდაცვლილი იპოვეს ტელეკომპანია „პირველის“ ოპერატორი ალექსანდრე ლაშქარავა, რომელმაც 5 ივლისს ფიზიკური თავდახსმის შედეგად დაზიანებები მიიღო. მედია ტოტალური უკანონო მოსმენების, დეზინფორმაციული კამპანიის და აგრესიული რიტორიკის ობიექტია. ხელისუფლების მხრიდან სათანადო რეაგირება არ მოსდევს მედიის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობასა თუ მუქარას.

ამ ფონზე, ჩვენი ორგანიზაცია, მაქსიმალურად მობილიზებულია, რათა დაიცვას ჟურნალისტები და უზრუნველყოს მათი პროფესიული სტანდარტების გაზრდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ აქტიურად იყო ჩართული 5-6 ივლისის მოვლენების შესახებ ადგილობრივი თუ საერთაშორისო აუდიტორიის ინფორმირებაში. ჩვენმა იურისტებმა მოამზადეს სარჩელი ტელეკომპანიების „მთავარის“, „ფორმულასა“ და „TV პირველის“, ასევე on.ge-ს სულ **24 დაზარალებული ჟურნალისტის უფლებების დასაცავად**, რომლებიც სახელმწიფომ ძალადობრივი ჯგუფების აგრესიისა და თავდასხმისგან ვერ და არ დაიცვა და მათი პროფესიული საქმიანობის შესრულებისათვის სათანადო პირობები ვერ უზრუნველეყო. ორგანიზაციამ კიდევ ერთი სარჩელი „მთავარის“, „ფორმულასა“ და „TV პირველისთვის“ იმ მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მოამზადა, რაც თავდასხმის დროს ტექნიკის განადგურებას უკავშირდება.

5-6 ივლისს მედიაზე განხორციელებული თავდასხმა იყო იმ აგრესიული რიტორიკის თუ პოლიტიკის სავალალო შედეგი, რასაც ხელისუფლება კრიტიკული მედიის წინააღმდეგ ბოლო წლებია აქტიურად ატარებს. ჩვენი მედია გუნდი არაერთხელ მიუთითებდა, რომ მმართველი პარტიის წევრთა აგრესიული რიტორიკა და სოციალურ ქსელებში, სავარაუდოდ, მათ მიერ მხარდაჭერილი დეზინფორმაციული კამპანია, პოლიტიკურად მოტივირებული საქმეები და სახელმწიფოს მხრიდან ჟურნალისტების პროფესიული საქმიანობის ხელის შეშლასა და ძალადობაზე არასათანადო რეაგირება წაახალისებდა ჟურნალისტების მიმართ უარყოფით განწყობას და ძალადობას. წლის განმავლობაში არაერთგზის მოვუწოდებდით „ქართულ ოცნებას“ უზრუნველყო მედიისათვის შესაბამისი სამუშაო გარემოს შექმნა. ჯერ კიდევ მაისში გამოქვეყნებულ **ანგარიშში -„მედიაგარემოს გაუარესებამ შეუქცევადი ხასიათი მიიღო“**, ვსაუბრობდით არსებულ გამოწვევებსა და საფრთხეებზე კონკრეტულ მაგალითებზე მითითებით.

2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე საჯაროდ გავრცელდა ფაილები, რომელიც, სავარაუდოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ განხორციელებული ფარული მოსმენების შინაარსს ასახავს. საჯაროდ გავრცელებული ინფორმაციის, ასევე ჟურნალისტებისა და მედია კომპანიების მიერ მოწოდებული მონაცემების შედეგად მედიის გუნდმა მინიმუმ **10 მედია კომპანიის 55 ჟურნალისტის იდენტიფიცირება** შეძლო, რომლებმაც დაადასტურეს, რომ სუს-ის ფაილებში არსებული ინფორმაცია ნამდვილია და მსგავსი შინაარსის კომუნიკაციას ჰქონდა ადგილი.

ტრადიციულ წინასაარჩევნო **ანგარიშში მედია გარემოს შესახებ,** მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო კრიტიკული ჟურნალისტების წინააღმდეგ მიმართულ ძალადობის ფაქტებს. ჩვენმა ორგანიზაციამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში 23 მედიის წარმომადგენელზე 93 ძალადობის ფაქტი დათვალა.

ვაგრძელებთ საზოგადოებრივი მაუწყებლის საქმიანობის მონიტორინგს. ყურადღების მიღმა არ დაგვრჩენია **აჭარის ტელევიზიასა და რადიოში მიმდინარე პროცესები.** ორგანიზაციის ***უფროსმა მკვლევარმა, სალომე ცეცხლაძემ*** თავი მოუყარა 2019 წლიდან ტელევიზიაში განვითარებულ მოვლენებს, მათ შორის, მმართველ პარტიასთან აფილირებული ხელმძღვანელობის მიერ უკანონოდ გათავისუფლებული ან შევიწროებული ათობით კრიტიკულად განწყობილი თანამშრომლის საქმეს და ერთ დოკუმენტად შეკრა, რომ ნათლად დაგვენახა, რა გზებით ჩაიგდო ხელში „ქართულმა ოცნებამ“ აჭარის ტელევიზია.

მედიის გუნდმა, ტრადიციულად, **2020 წლის სარეკლამო ბაზარი მიმოიხილა,** რომელიც პანდემიის მიუხედავად, 7.7 მლნ ლარით გაიზარდა. თუმცა, რომ არა საპარლამენტო არჩევნები, სარეკლამო შემოსავალი 6.8 მლნ ლარით შემცირდებოდა.

ქვეყანაში არსებული პოლიტიკური პოლარიზაცია აისახება სარეკლამო ბაზარზეც. კერძოდ, **შევისწავლეთ რომელ ტელევიზიებში ანთავსებდნენ პოლიტიკური პარტიები რეკლამას 2016-2020 წლებში** გამართული 4 არჩევნების ფარგლებში. როგორც აღმოჩნდა, ყველაზე მეტი თანხა 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს დაიხარჯა (14.5 მლნ ლარი). ყველაზე მეტ თანხას არჩევნებში სახელისუფლებო პარტია „ქართული ოცნება“ და ოპოზიციური „ნაციონალური მოძრაობა“ ხარჯავს, რომლებსაც რეკლამა თავიანთ ფავორიტ ტელევიზიებში მიაქვთ - მმართველ პარტიას „იმედის ჰოლდინგში“, „ნაციონალურ მოძრაობას“ კი ჯერ „რუსთავი 2-ში“, მისი მფლობელის შეცვლის შემდეგ კი - „მთავარ არხში“.

საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში მოექცა მედიის გუნდის მიერ მომზადებული ტრადიციული **კვლევა სახელისუფლებო პიარზე დახარჯულ თანხებზე.** 2013-2020 წლებში სახელმწიფო უწყებებში პიარ-სამსახურებში დასაქმებული თანამშრომლების რაოდენობა სულ მცირე 969-მდე, 68%-ით გაიზარდა და მათი შენახვა ბიუჯეტს 140.5 მლნ ლარი დაუჯდა.

მნიშვნელოვანი მიგნებები გამოვკვეთეთ **კვლევაში, სადაც 63 მუნიციპალიტეტის სატელევიზიო შესყიდვებია მიმოხილული.** ცალკეული რეგიონული მაუწყებლებისთვის სახელმწიფო შესყიდვებიდან მიღებულ თანხებს მნიშვნელოვანი წილი უკავია საერთო შემოსავალში - უმეტეს შემთხვევაში 20%-ზე მეტია, ზოგჯერ კი 50%-საც აჭარბებს.

განვაახლეთ ჩვენი საქმიანობა კოალიციაში მედიის ადვოკატირებისათვის, რომელიც მედიის თემებზე მომუშავე წამყვან ორგანიზაციებს აერთიანებს. აღნიშნული კოალიციის ფარგლებში კიდევ უფრო აქტიურად ვეხმიანებით სექტორში არსებულ გამოწვევებს და ერთი ქოლგის ქვეშ, გაერთიანებული ძალებით ვახორციელებთ მედია გარემოს გაუმჯობესებისათვის ადვოკატირებას. სწორედ, კოალიციის ფარგლებში შევისწავლეთ კომუნიკაციების კომისიის მიერ, კრიტიკული არხის, „მთავარის“ რეკორდულად მაღალი თანხით 112 ათასი ლარით დაჯარიმების საკითხი არასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის განთავსების წესის არაერთხელ დარღვევის გამო. ასევე, გამოვეხმაურეთ კომისიის თავმჯდომარის, კახი ბექაურის მიერ გაკეთებულ განცხადებას, მედიის მიმართულებით კანონის გამკაცრების შესახებ და კიდევ ერთხელ განვაცხადეთ, თუ რატომ მოიტანს მედიის დამატებითი რეგულირება საქართველოში სავალალო შედეგებს.

ჩვენთვის პრიორიტეტად რჩება ჟურნალისტების უფლებების, მათ შორის მათი შრომითი უფლებების დაცვა. ამ დრომდე **„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ იურისტები 200-მდე ჟურნალისტის შრომით უფლებას იცავენ სასამართლოში, რაც ამ კუთხით პრობლემის მასშტაბურობაზე მიუთითებს.**

ჩვენი ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ჟურნალისტების მხარდაჭერა, არამედ მათი პროფესიული უნარ-ჩვევების გაძლიერება. ამ მიზნით, 2021 წელსაც **ჩავატარეთ 4 ტრენინგი** ღია მონაცემებზე წვდომის, მასალის დამუშავებისა და გამოყენების თაობაზე. ამ ტრენინგებში მოქმედ ჟურნალისტებთან ერთად მათი მომავალი კოლეგებიც იყვნენ ჩართული სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. ტრენინგების მიზანი საგამოძიებო ჟურნალისტიკის უნარების გაძლიერება და სტუდენტებისთვის ისეთი ცოდნის გაზიარებაა, რომელიც მათ სამომავლოდ პროფესიულ დასაქმებაში დაეხმარება.

წინასაარჩევნოდ ასევე **შევხვდით მედიასაშუალებების წამყვან ჟურნალისტებს,** რომელთა ყურადღებაც მივაქციეთ საარჩევნოდ მოსალოდნელ დარღვევებზე, განვუმარტეთ მედიის წარმომადგენელთა უფლება-მოვალეობები და გავაცანით არჩევნებთან დაკავშირებული ჩვენი ღია ბაზების გამოყენების სარგებელი.

ანტიკორუფციული სტაგნაცია

სანდრო ქევხიშვილი

ანტიკორუფციული გუნდის ლიდერი

2021 გუნდისთვის გამოწვევების წელი იყო. წლის განმავლობაში თითქმის მთლიანად შეიცვალა ჩვენი შემადგენლობა, თუმცა, ამის მიუხედავად, გუნდმა რამდენიმე პრიორიტეტული მიმართულებით იმუშავა და წელი პროდუქტიულად დაასრულა.

წლის განმავლობაში გაგრძელდა მუშაობა მაღალი დონის კორუფციის პრობლემის გამოკვეთაზე. 2021 წელს ჩვენი დაკვეთით ჩატარებულმა სატელეფონო გამოკითხვამ მორიგ ჯერზე დაადასტურა, რომ მოსახლეობის უმრავლესობის აზრით (56%), ქვეყანაში მაღალი დონის კორუფციაა გავრცელებული. წლის განმავლობაში ორჯერ განახლდა მაღალი დონის სავარაუდო კორუფციის გამოუძიებელი შემთხვევების სია, რომელშიც წლის ბოლოსთვის **65 გამოუძიებელი საქმე** იყო თავმოყრილი. ეს ნათლად აჩვენებს ქვეყანაში მაღალი დონის კორუფციის სხვადასხვა გამოვლინებასა და მასშტაბს.

ჩვენმა ანალიტიკოსებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა მოამზადეს საქართველოში კორუფციის მხრივ არსებულ გამოწვევებზე:

გიორგი ლოლაძემ შეისწავლა **ე.წ. "მბრუნავი კარის" შემთხვევები,** როდესაც თანამდებობის პირები ბოროტად იყენებენ უფლებამოსილებას კონკრეტული კომპანიის სასარგებლოდ და შემდეგ ამ კომპანიაში თავად გადადიან სამუშაოდ. კვლევის შედეგად, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოში ეს მავნე პრაქტიკა გავრცელებულია და არ არსებობს მისი შემაკავებელი რაიმე მექანიზმი. პრობლემის გადასაჭრელად და კორუფციის რისკების ეფექტურად დასარეგულირებლად კონკრეტული რეკომენდაციები შევთავაზეთ მთავრობას.

მარიამ მამნიაშვილმა შეისწავლა ცენტრალური და ადგილობრივი **ხელისუფლების ორგანოების მიერ დაფუძნებული იურიდიული პირები** და მათთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი კორუფციული რისკები გამოავლინა. კონკრეტული მონაცემები აჩვენებს, წლიდან წლამდე სულ უფრო დიდი საბიუჯეტო რესურსი იხარჯება სახელმწიფო სსიპ-ებსა და ა(ა)იპ-ებზე, იზრდება მათი რაოდენობა, თანამშრომლების რიცხვი და ხარჯები, ხოლო მათი გამჭვირვალობა და, შესაბამისად მონიტორინგის მექანიზმები, კვლავ მინიმალურია. ჩვენი მიგნებები მოგვიანებით სახელმწიფო აუდიტის მიერ ჩატარებული კვლევითაც დადასტურდა.

მარიამმა ასევე შეისწავლა **კომპანიების ფარული მფლობელობის პრობლემა** საქართველოში და გამოკვეთა ამ სფეროში მეტი გამჭვირვალობის აუცილებლობა. კვლევის თანახმად, კომპანიების ფარული მფლობელობა შეიძლება გამოყენებულ იქნას, მაგალითად, კერძო ბიზნესის მხრიდან სახელმწიფო ინსტიტუციებზე ფარული გავლენის მოსახდენად ან ფულის წარმოშობის დასამალად. ანონიმური მფლობელობის შედეგად გაჩენილი კორუფციული რისკების შესამცირებლად ჩვენი რეკომენდაციაა ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრის შექმნა.

ლილი ლეჟავამ შეამოწმა, **რამდენად სრულდება პრაქტიკაში ქვეყნის მთავარი ანტიკორუფციული კანონი.** კვლევამ გამოკვეთა, რომ კანონის აღსრულება მეტწილად არ ხდება, რაც საჯარო სამსახურში კორუფციისთვის ხელსაყრელ გარემოს ქმნის. მან ასევე სიღრმისეულად შეისწავლა ქვეყანაში არსებული ანტიკორუფციული სისტემა და გამოკვეთა ის გარემოებები, რის გამოც ბოლო წლებში შეჩერებულია ანტიკორუფციული პოლიტიკის წარმოება. კვლევამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა ქვეყანაში დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახურის არსებობის აუცილებლობა, რომელიც ჩაიბარებს კორუფციის პრევენციისა და გამოძიების ამჟამად უგულებელყოფილ ფუნქციებს.

წლის დასაწყისში შევისწავლეთ საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული ვაქცინაციის ეროვნული გეგმა, სადაც, როგორც აღმოჩნდა, არ იყო გათვალისწინებული კორუფციის შემაკავებელი კომპონენტი და ამ ხარვეზის გამოსასწორებლად შესაბამისი რეკომენდაციით მივმართეთ ხელისუფლებას. ჩვენი ყურადღება მიიქცია ასევე კოვიდ-პანდემიის სამართავად შექმნილმა მობილურმა აპლიკაციამ, რომელზეც 700,000 ლარი უშედეგოდ დაიხარჯა.

გავაანალიზეთ თანამდებობის პირთა **ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციების მონიტორინგის 2020 წლის შედეგები,** საიდანაც კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ მონიტორინგის მექანიზმი ვერ ასრულებს კორუფციის პრევენციისა და გამოვლენის ფუნქციებს.

2021 წელს ანტიკორუფციულმა გუნდმა ასევე დაიწყო პროექტი, რომელიც გულისხმობს 7 მუნიციპალიტეტის მერიისთვის (თბილისი, თელავი, ზუგდიდი, გორი, ოზურგეთი, სენაკი, ლაგოდეხი) დახმარების გაწევას კორუფციული რისკების შეფასების პროცესში. ამ მიზნით, ადგილობრივ თვითმმართველობაზე მორგებული მეთოდოლოგია შევიმუშავეთ.

ჩვენი ორგანიზაცია აქტიურად იყო ჩართული ანტიკორუფციული რეფორმების წამახალისებელ ყველა პროცესში, როგორიცაა, მაგალითად, "ღია მმართველობის პარტნიორობა" და OECD-ის ანტიკორუფციული ქსელის მიერ საქართველოში კორუფციული გარემოს მონიტორინგი. წლის დასაწყისში გუნდმა ასევე თავი მოუყარა იმ რეფორმებს, რომლებიც გვსურდა გვეხილა ქვეყნის განახლებულ ეროვნულ ანტიკორუფციულ სტრატეგიაში, თუმცა, სამწუხაროდ, ეს დოკუმენტი დღემდე არ დამტკიცებულა.

და ბოლოს, დეკემბრის პირველ დეკადაში, როცა კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე აღინიშნება, ტრადიციული **ანტიკორუფციული კვირეულის ფარგლებში საზოგადოებას წარვუდგინეთ ჩვენი განახლებული ვებგვერდი companyinfo.ge,** რომელიც ახალი ინსტრუმენტების გამოყენებით კიდევ უფრო უმარტივებს დაინტერესებულ პირებს კორუფციის მონიტორინგის დროს საეჭვო კავშირების გამოვლენას.

რეგიონული ფოკუსი კორუფციაზე

ზვიად ქორიძე

რეგიონული ოფისების მენეჯერი

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” რეგიონული ოფისების მიერ მომზადებული კვლევებისა და ბლოგების მთავარი მიზანი იმ პრობლემების იდენტიფიცირებაა, რომელთა წინაშეც დგანან თვითმმართველობის ორგანოები საქართველოში. ჩვენ ვცდილობთ, შესაბამისი უწყებების ყურადღება მივაპყროთ ამ პრობლემებს, მივაწვდინოთ ინფორმაცია ადგილობრივ მცხოვრებლებს და წავახალისოთ მათი სამოქალაქო აქტივიზმი.

სავარაუდო კორუფციული ფაქტების მოძიება და მათი საზოგადოებისთვის მიწოდება ჩვენი ხუთვე რეგიონული ოფისის ერთ-ერთი უმთავრესი საზრუნავია. 2021 წელი ამ მხრივ საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა:

ბათუმის ოფისის ხელმძღვანელის, *მალხაზ ქკადუას* კვლევამ ***“ბათუმის საკრებულოს ყოფილი წევრის კომპანიების 130-მილიონიანი სარგებელი სახელმწიფო შესყიდვებიდან”*** და ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელის, *არჩილ თოდუას* ბლოგმა ***“საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრის, ჯუმბერ იზორიას ეკონომიკური ინტერესები ჩხოროწყუში”*** გამოააშკარავა, თუ როგორ იგებენ სახელმწიფო შესყიდვებს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში გავლენიანი პირების მიერ შექმნილი კომპანიები, რომელთა მესაკუთრეები შემდგომ იყრიან კენჭს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში და ისევ ცდილობენ ადგილობრივ ხელისუფლებაში პოზიციების გამყარებას;

ახალციხის ოფისის ხელმძღვანელმა, *თამუნა უჩიძემ* შეისწავლა, თუ ***როგორ იგებს უკონკურენტოდ მილიონიან ტენდერებს აბასთუმანში ბიძინა ივანიშვილის დაგეგმილ პროექტებში ჩართული კომპანია “არალი”.*** ამ კომპანიამ **2011-2021 წლებში ჯამურად 181 923 427 ლარის ოდენობის ტენდერები მოიგო.**

წლის განმავლობაში ყველა ოფისის ხელმძღვანელმა მოამზადა რამდენიმე ბლოგი იმასთან დაკავშირებით, როგორ ირგებდნენ სახელმწიფო შესყიდვებს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და, შესაბამისად, იღებდნენ დიდ შემოსავლებს. *არჩილ თოდუას* (ზუგდიდი) ბლოგში ***“სენაკის საკრებულოს წევრის კომპანია ტენდერებს იგებს”,*** *მალხაზ ქკადუას* (ბათუმი) ბლოგში ***“ბათუმის საკრებულოს წევრისა და მისი სიძის კომპანიების მილიონიანი სარგებელი ბათუმის შესყიდვებიდან”,*** *ლელა მოწონელიძის* (ქუთაისი) ბლოგში ***“ქუთაისის მერის მოადგილის ბიზნეს-პარტნიორის კომპანია ადგილობრივ ტენდერებს იგებს”,*** *თამუნა უჩიძის* (ახალციხე) ბლოგში ***“ნინოწმინდის ცენტრალურ პარკში მიწები ხელისუფლებასთან კავშირში მყოფმა პირებმა საკუთრებაში გაიფორმეს”*** თვალნათლივ ჩანს, რომ საკრებულოს წევრები და მერიის მაღალჩინოსნები მუნიციპალურ შესყიდვებში უპირატეს მდგომარეობაში არიან და ქმნიან კორუფციული გარიგებების მავნე პრაქტიკას;

“სამცხე-ჯავახეთში კორუფციისთვის ნასამართლევი პირები სახელმწიფო შესყიდვებს იღებენ” - ამ ბლოგში ჩვენი ახალციხის ოფისის ხელმძღვანელი, *თამუნა უჩიძე* რეგიონში სახელმწიფო შესყიდვებში დამკვიდრებულ პრაქტიკაზე საუბრობს;

ქუთაისის ოფისის ხელმძღვანელმა *ლელა მოწონელიძემ* მიმოიხილა ***“დაპირებული და გაჭიანურებული პროექტები ქუთაისში”,*** ხოლო ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელმა, *არჩილ თოდუამ* ***ფოთში თევზის გადამამუშავებელი საწარმოების*** მაგალითზე გვაჩვენა, თუ როგორ ზრდის ქალაქში ეკოლოგიურ პრობლემებს ნორმების დაუცველობა, რომელსაც ამ საწარმოთა მეპატრონეები საკუთარი პოლიტიკური კავშირებით ახერხებენ;

ბათუმის ოფისის ხელმძღვანელმა, *მალხაზ ჭკადუამ* გამოიკვლია ***ქობულეთის, ფოთისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტების საეჭვო ტენდერები კომპანია “ჯორჯიან სტოუნთან”.*** ამ კომპანიის საქმიანობის შესწავლა 2020 წელს დავიწყეთ, როდესაც გამოიკვეთა ე.წ. “მბრუნავი კარის” კლასიკური ნიმუში: ქობულეთის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსი გადადგა თანამდებობიდან და სათავეში ჩაუდგა სამშენებლო კომპანიას, რომელმაც დაიწყო სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობა და, რაც მთავარია, ტენდერებისა თუ გამარტივებული შესყიდვების მოგება. მოგვიანებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა იმეორებდა ჩვენი კვლევის მიგნებებსა და რეკომენდაციებს. მისი კიდევ ერთი ბლოგი, ***“მაჟორიტარობის 13 წელი და 13 მილიონ ლარზე მეტი სახელმწიფო შესყიდვებიდან ანზორ ბოლქვაძის ოჯახსა და ახლობლებს”*** აღწერს, თუ როგორ უკავშირდება მაღალმთიან აჭარაში ყველა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული და ტურისტული პროექტი პარლამენტის მაჟორიტარ დეპუტატს, ანზორ ბოლქვაძეს;

ბუნებრივია ამ და სხვა კორუფციული ნიშნების შემცველმა ისტორიებმა მედიის დიდი ყურადღება მიიქცია, რაც სრულიად საკმარისია შესაბამისი უწყებების მხრიდან რეაგირების მოსახდენად. თუმცა, ჩვენი რა თქმა უნდა, ამის იმედად არ ვართ და თითოეული პრობლემური ისტორიის შესახებ წერილობით ვაცნობებთ სახელმწიფო უწყებებს.

მომრავლებული შესაძლო კორუფციული ფაქტები ასევე წარმოვაჩინეთ ვიდეოში სახელწოდებით "კორუფციის რუკა", ადგილობრივი არჩევნების წინ კი რეგიონების მიხედვით ვიდეოებში ავკინძეთ კორუფციის ათობით საეჭვო შემთხვევა, რომლებზეც ჩვენი მკვლევარები 4 წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობდნენ.



2021 წელს ჩვენი ორგანიზაციის რეგიონულმა ოფისებმა შეისწავლეს ***5 ქალაქის - ბათუმის, ქუთაისის, ზუგდიდის, ფოთის და ახალციხის ადგილობრივი საკრებულოების საქმიანობა.*** "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" რამდენიმე წელია, ამზადებს საკრებულოების საქმიანობის ანგარიშებს. სწორედ ჩვენი დაკვირვებითა და კვლევებზე დაყრდნობით მოვამზადეთ შემაჯამებელი მიმოხილვა: ***"როგორ მუშაობს საკრებულო: პრობლემები და რეკომენდაციები".*** ამ მიმოხილვაში კარგად გამოჩნდა, რომ საკრებულოები სუსტ საზედამხედველო ორგანოებს წარმოადგენენ. ჩვენი მიზანი იყო, რომ ახალი მოწვევის საკრებულოების ყურადღება იმ არაეფექტურ ტენდენციებზე მიგვექცია, რასაც მათი წინამორბედების საქმიანობის დროს ჰქონდა ადგილი და მუშაობის გაუმჯობესების კონკრეტული გზები შეგვეთავაზებინა.

ჩვენი ოფისები პერიოდულად ამზადებენ სხვადასხვა მუნიციპალიტეტის ხარჯების მონიტორინგს, რათა დინამიკაში დავაკვირდეთ რამდენად ეფექტურად განიკარგება გადასახადის გადამხდელების საბიუჯეტო შენატანები. ადგილობრივი მერიების და საკრებულოს საჯარო მოხელეთა და მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების თანამშრომელთა ოდენობაც და მათი შრომის ანაზღაურებაც არაგონივრულად არის გაზრდილი. ბათუმის ოფისის ხელმძღვანელმა, *მალხაზ ჭკადუამ მოამზადა* კვლევა ***"აჭარის მუნიციპალიტეტებს ა(ა)იპების შენახვა წელიწადში 41 მილიონ ლარზე მეტი უჯდება",*** ქუთაისის ოფისის ხელმძღვანელი, *ლელა მოწონელიძე* კი კიდევ ერთხელ მიუბრუნდა ქუთაისის მუნიციპალური შპს "პარკინგსერვისის" თემას, რომელიც ნაცვლად იმისა, რომ მომგებიან საწარმოდ იქცეს, უფრო და უფრო მეტ მუნიციპალურ დაფინანსებას ითხოვს. ჩვენი მოსაზრებით, ***ქუთაისის მუნიციპალიტეტმა შპს***

“პარკინგსერვისი” უნდა გააუქმოს. ქუთაისის მერიისა და საკრებულოს ადმინისტრაციული ხარჯები 2017-2020 წლებში” ასევე ლელა მოწონელიძემ დაითვალა, ხოლო ***სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციული ხარჯები*** კი 2021 წელს ზუგდიდის ოფისის ხელმძღვანელმა, *არჩილ თოდუამ* შეისწავლა და გამოავლინა, რომ 2020 წელს ცხრა ადმინისტრაციამ ჯამურად 5 182 978 ლარი დახარჯა.

თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგი საკმაოდ ეფექტური მექანიზმია, რომლითაც ვაკვირდებით ადგილობრივ თანამდებობის პირთა საქმიანობას და მათი შემოსავლებისა და ქონების ზრდის სამართლებრივ ასპექტებს. 2021 წელს გამოვაქვეყნეთ კვლევები *სახელმწიფო რწმუნებულების ადმინისტრაციების, სამცხე-ჯავახეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტების, ასევე ცაგერისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტების* ***თანამდებობის პირთა დეკლარაციებში აღმოჩენილი დარღვევების შესახებ და შესაბამისი რეაგირებისთვის საჯარო სამსახურის ბიუროს მივმართეთ.***

ხარვეზების გამოვლენის პარალელურად, ჩვენ იმაზეც ვზრუნავთ, რომ დავეხმაროთ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. პანდემიური ვითარებიდან გამომდინარე 2021 წელს **2 ტრენინგი** გავმართეთ იმერეთის რეგიონის 6 მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებისთვის, ასევე სამცხე-ჯავახეთის რეგიონის 4 მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებისათვის ადგილობრივი თვითმმართველობების კომპეტენციების შესახებ. **მესამე ტრენინგი** კი სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების გამიჯვნისა და მართვის საკითხებზე ზუგდიდში გავმართეთ.

დამატებით **3 ტრენინგი** გავმართეთ ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო ჯგუფებისთვის. მათგან 2 ტრენინგი - თელავსა და ბათუმში ადგილობრივი თვითმმართველობების ბიუჯეტირების პროცესში ჩართვასა და მონაწილეობაზე ჩავატარეთ, ხოლო მესამე ტრენინგი წალენჯიხაში - სამოქალაქო ჩართულობისა და მუნიციპალური ქონების განკარგვის საკითხებზე. ჩვენი მიზანია ეს პროცესი უფრო გამჭვირვალე გახდეს და ბიუჯეტის დაგეგმვაში მეტი მოქალაქე ჩაერთოს.

2021 წელს წარმატებით გაგრძელდა ჩვენი რადიო პროექტები - *არჩილ თოდუას* გადაცემა **"ჩვენი თვითმმართველობა" ზუგდიდის რადიო "ათინათში"** და *ლელა მოწონელიძის* **"გამჭვირვალე პოლიტიკა" ქუთაისის რადიო "ძველ ქალაქში"** ძალიან გვეხმარება ადგილობრივი პრობლემების აუდიტორიისთვის გაცნობასა და მათი გადაჭრის გზებზე მსჯელობის გააქტიურებაში.

სამოქალაქო საბჭოები - 3000-ზე მეტი მოქალაქის ხმა ადგილობრივ თვითმმართველობებში

მალხაზ ჭკადუა

სამოქალაქო საბჭოების კოორდინატორი

პანდემიისა და სხვა სირთულეების მიუხედავად, „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" სამოქალაქო საბჭოებმა, ენთუზიასტი მოქალაქეების გაერთიანებებმა, რომლებიც ჩვენი აქტიური დახმარებით თავიანთ თემში არსებული პრობლემების მოგვარებაზე ზრუნავენ, 2021 წელსაც მოახერხეს ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებში გაფართოება, **20-ზე მეტი ახალი წევრის მიღება, 200-ზე მეტი პრობლემის გამოვლენა, რომელთაგან 95 გადაჭრილი ან/და მოგვარების ეტაპზეა.**

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, რომ რეკორდულად ბევრი მოქალაქე შეუერთდა ჩვენს განცხადებებსა და პეტიციებს - **10 მუნიციპალიტეტში გაგზავნილ 4 პეტიციას და 15 განცხადებას 3 060 მოქალაქის ხელმოწერა აქვს,** უფრო მეტიც, ყველა ამ მიმართვაზე რეაგირების და გამოვლენილი საჭიროების გადაჭრის მიზნით, მუნიციპალიტეტების აღმასრულებელ რგოლებს მუშაობა დაწყებული აქვთ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოების ადვოკატირების შედეგად, 2021 წელს სამეგრელოში, იმერეთში, სამცხე-ჯავახეთსა და აჭარაში **95** ინფრასტრუქტურული პრობლემა მოგვარდა

მათ შორის:

- **19** დასახლებაში დაიგო გზა
- **10** დასახლებაში სასმელი და სარწყავი წყლის სისტემა მოეწყო
- **10** დასახლებაში საავტომობილო მოძრაობის მარეგულირებელი ნიშნები დამონტაჟდა
- **6** დასახლებაში საბავშვო/სპორტული მოედნები მოეწყო
- **5** სოფელში სანიაღვრე არხები გაკეთდა
- **5** დასახლებაში ნაგავშემკრები კონტეინერები დაამატეს
- **4** ნაგავსაყრელი გაუქმდა
- **3** დასახლებაში გარე განათება მოეწყო
- **2** სკოლისა და **1** ბაღის შენობების რეაბილიტაცია დაიწყო

ენთუზიასტი მოქალაქეები შემოუერთდით „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სამოქალაქო საბჭოებს!

სწორედ ეს გარემოება მაძლევს საფუძველს, ვიმედოვნო, რომ 2022 წელი კიდევ უფრო მეტი პეტიციისა და სხვა სახის მიმართვის მომზადების წელი იქნება, განსაკუთრებით იმ პირობებში, რომ **სამეგრელოს, იმერეთის, სამცხე-ჯავახეთისა და აჭარის რეგიონულ ოფისებთან ერთად, ორგანიზაციამ აქტიურად დაიწყო მუშაობა კახეთის რეგიონშიც** - კახეთში არსებული პრობლემების და ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით, სამუშაო მოცულობითი და შედეგზე ორიენტირებული იქნება.

პანდემია დასაწყისშივე შემთხვევით არ მიხსენებია - სოციალური დისტანციის დაცვისა და ზოგადად, ეპიდემიოლოგიური ვითარების კიდევ უფრო დამძიმების თავიდან ასარიდებლად 2021 წელს უარი ვთქვით შენობაში შეხვედრებზე, მივდიოდით იქ, სადაც მოსახლეობა სოფლის ცენტრში, სკოლასთან და ადმინისტრაციულ შენობებთან გველოდა - შედეგად, **შევხვდით 30-მდე სოფლის და სხვადასხვა მუნიციპალიტეტების უბნების მოსახლეობას.**

პეტიციებით გათვალისწინებული თემებიც სწორედ მოსახლეობასთან აქტიური კომუნიკაციით გამოვკვეთეთ - **ტყიბულში** 4 სოფლის: მანდიკორის, ბობოთის, ციხიას და ნაძვას მოსახლეობამ (250 მოქალაქემ) წყლის სისტემის მოწესრიგება მოითხოვა - მუნიციპალიტეტმა უკვე დაიწყო მუშაობა რესურსების მოძიებაზე, დაგეგმილმა სამუშაოებმა არამხოლოდ დასახელებულ, არამედ მუნიციპალიტეტის 20 სოფელს უნდა მოუგვაროს წყლის მიწოდებასთან დაკავშირებული სირთულეები.

ახალციხეში პეტიცია საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის ჩამოყალიბებას შეეხებოდა - სამწუხაროდ, რეგიონის მთავარ ადმინისტრაციულ ქალაქში ამ დრომდე არ დადის მუნიციპალური ტრანსპორტი. საკრებულომ განიხილა ჩვენი საბჭოების მიერ მომზადებული მიმართვა 500 მოქალაქის ხელმოწერით და ახლა უკვე მერიიდან ველოდებით შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას - პრობლემის მოგვარების მზაობა მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ რგოლში, არაფორმალური თანხმობის გარდა, წერილობითაც დაგვიდასტურეს.

აჭარაში **ქობულეთზე** გავამახვილეთ ყურადღება - პეტიციით ზღვისპირა ქალაქში მოძველებული და არასახარბიელო მდგომარეობაში მომუშავე საჯარო ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია და მისი თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა მოვითხოვეთ. პეტიცია, რომელსაც ხელი 700-მდე მოქალაქემ მოაწერა, საკრებულომ ერთხმად მოიწონა, მერია კი დაგვპირდა, რომ პრობლემის მოგვარებას 2022 წელს დაიწყებს.

ზუგდიდში კი სოფელ ინგირში, ბარათაშვილისა და მიმდებარე ქუჩების, ასევე სოფელ კახათში, ეწერის უბნის მოსახლეობამ (623 მოქალაქემ) წყლის სისტემის მშენებლობა მოითხოვა - ჩვენი ადვოკატირების შედეგად, ინგირში უკვე დაიწყო სამუშაოები, კახათში კი მიმდინარე წელს, შესაბამისი თანხების მოძიებისთანავე, დააკმაყოფილებენ მოსახლეობის მოთხოვნას.

სამოქალაქო საბჭოების მუშაობის შედეგია ისიც, რომ ახალციხის საკრებულომ პეტიციის რეგისტრაციისა და განხილვის წესზე დადგენილება მიიღო, მსგავსი დოკუმენტი წარმომადგენლობით ორგანოს ჩვენი პეტიციის მომზადებამდე არ ჰქონია.

პრობლემების გამოვლენა-ადვოკატირებასთან ერთად, **2021 წელს აქტიურად ვიმუშავეთ სხვადასხვა რეგიონში ადგილობრივ სამოქალაქო აქტივიზმის ჯგუფებთან** - ეს ჩვენი სამოქალაქო საბჭოებისთვის შედარებით ახალი მიმართულებაა. ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა ჩართულობის აუცილებლობასა და მექანიზმებზე ვესაუბრეთ ჯვარის, წალენჯიხის, მარნეულის, თელავის, ქობულეთის, ქედის, ბათუმის სამოქალაქო აქტივისტებს და სტუდენტებს. ორგანიზაციის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის დახმარებით, ამ შეხვედრებზე და სამოქალაქო საბჭოების სხვა აქტივობებზე საზოგადოებას პერიოდულად ვაწვდიდით ინფორმაციას. ჯამში, სამოქალაქო საბჭოების ყოველდღიურ მუშაობაზე ორგანიზაციის სოციალურ ქსელებში **2021 წელს 20-მდე პოსტი გამოქვეყნდა.**

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" თაოსნობით ჩამოყალიბებული ენთუზიასტი მოქალაქეების გაერთიანებების - **სამოქალაქო საბჭოების** ინიციატივით, 2021 წელს:

- გამოვლენილი **200-ზე მეტი** ინფრასტრუქტურული პრობლემიდან, **95** მოგვარდა
- შეხვედრები გაიმართა **10** მუნიციპალიტეტის **20** სოფელში;
- **15** განცხადებას და **4** პეტიციას **3060-მა** მოქალაქემ მოაწერა ხელი
- **4-ვე** პეტიციის მოთხოვნა ადგილობრივმა თვითმმართველობებმა გაიზიარეს, მათ დასაკმაყოფილებად მუშაობა დაწყებულია

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს" სამოქალაქო საბჭოები - **ხალხისთვის და ხალხთან ერთად!**

ასევე, ტრადიციად იქცა განხორციელებულ საქმიანობაზე მოკლემეტრაჟიანი ვიდეოების მომზადება და გამოქვეყნება - მათი მიზანი ჩვენი სამოქალაქო საბჭოების შედეგებისა და გამორჩეული წევრების აუდიტორიისთვის გაცნობა და იმ მოქალაქეების წახალისებაა, რომელთაც ჩვენი საბჭოს წევრების მსგავსად, საკუთარი დასახლებისთვის სასიკეთო ცვლილებების მიღწევა სურთ. **ჩვენი საბჭოების კარი ღიაა ყველასთვის** - ვისთვისაც, პრინციპი „ხალხისთვის და ხალხთან ერთად" ყოველდღიურობის ნაწილია, პროფესიის, ასაკის, ადგილმდებარეობის თუ სხვა გარემოებების მიუხედავად - ასე რომ, გელით ჩვენი ორგანიზაციის სამოქალაქო საბჭოებში!

მართლმსაჯულება სისტემური ცვლილებების მოლოდინში

გია გვილავა

პროგრამის მენეჯერი

წლის განმავლობაში გავაგრძელეთ მუშაობა მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ხარვეზების გამოვლენისა და შესაბამისი სისტემური ცვლილებების ადვოკატირებისთვის. სამწუხაროდ, 2021 წელს ბევრი ახალი პრობლემაც გამოვლინდა. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ტენდენცია, რომელიც მართლმსაჯულების სისტემაში ძალაუფლების კონცენტრაციის მიმართულებით შეინიშნებოდა. აღსანიშნავია ასევე აქტივისტების ადმინისტრაციული წესით დაკავების მაღალი მაჩვენებელი, ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებო კი 5 ივლისის მოვლენები იყო. ჩვენი ორგანიზაცია აქტიურად ჩაერთო აქტივისტების და ჟურნალისტების უფლებების დაცვაში.

2021 წელს პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად შევათანხმეთ და შევიმუშავეთ **მართლმსაჯულების სისტემის კომპლექსური და ფუნდამენტური რეფორმის კონცეფცია.** ახალი დოკუმენტის შექმნის საჭიროება მართლმსაჯულების სისტემის მწვავე კრიზისმა განაპირობა, რომელიც ფრაგმენტული და არათანმიმდევრული რეფორმებით არის გამოწვეული. დროთა განმავლობაში აშკარა გახდა, რომ ხელისუფლებამ ვერ გამოავლინა პოლიტიკური ნება ხელშესახები და თანმიმდევრული ცვლილებების გასატარებლად, რასაც მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის, ე.წ. კლანის გაძლიერება მოჰყვა. დღესდღეობით სასამართლო სისტემა კლანის ინტერესებს ემსახურება, რამაც, საბოლოოდ, სასამართლოს დამოუკიდებლობისა და საზოგადოებრივი ნდობის მკვეთრი ვარდნა გამოიწვია, ხოლო სასამართლო პოლიტიკური ანგარიშსწორების იარაღად აქცია. კარგად ვიაზრებთ, რომ დღეს რეალური ცვლილებების პოლიტიკური ნება არ არსებობს, შესაბამისად კონცეფცია სამომავლოდ პოლიტიკური ნების არსებობის შემთხვევაში არასამთავრობო ორგანიზაციების ადვოკატირების სახელმძღვანელო დოკუმენტი უნდა იყოს და ყველა ცვლილება თუ რეკომენდაცია სწორედ მას უნდა დაეყრდნოს. კონცეფციის მიზანია მართლმსაჯულების სისტემის ინსტიტუციონალიზაციის, არაფორმალური გავლენებისგან გათავისუფლების, შიდა დემოკრატიული პროცესების წახალისებისა და უმაღლესი სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობა. კონცეფციაზე დაფუძნებული რეფორმის შედეგად მოხდება იმ ინსტიტუციური თუ ფუნქციური პრობლემების აღმოფხვრა,

რომლებიც აფერხებენ სასამართლოს დამოუკიდებლობას და მოსამართლის მიერ პროფესიული უფლებამოსილებების კეთილსინდისიერად და კომპეტენტურად განხორციელებას.

2021 წლის მანძილზე სასამართლო სისტემაში არსებული გამოწვევების შესწავლისა და გამოვლენის მიზნით ორი მნიშვნელოვანი კვლევა ჩავატარეთ და შესაბამისი ანგარიშებიც გამოვაქვეყნეთ:

პირველი კვლევა **მოსამართლეთა გამოხატვის თავისუფლების სტანდარტს** ეხებოდა, რომელმაც სასამართლო სისტემის გავლენიანი მოსამართლეთა ჯგუფის კონტროლის პირობებში სახიფათო ტენდენციები და ახალი გამოწვევები გამოავლინა. როგორც აღმოჩნდა ზოგიერთი გავლენიანი მოსამართლე უხეშად არღვევდა გამოხატვის თავისუფლების სტადარტს, არაეთიკურად მოიხსენიებდა იმათ, ვისაც სასამართლო სისტემის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება ჰქონდა და მათ ასეთ ქმედებას იუსტიციის საბჭო შეფასების გარეშე ტოვებდა.

მეორე ანგარიშში კი სასამართლოში მოსამართლეების **დაწინაურების სისტემის არსებული საკანონმდებლო რეგულაციები და დამკვიდრებული პრაქტიკა** გამოვიკვლიეთ. კვლევის ფარგლებში შეგროვებულმა მასალამ ცხადჰყო, რომ დაწინაურების სისტემას გავლენიანი მოსამართლეების ჯგუფი ძალაუფლების შენარჩუნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ბერკეტად იყენებს. ჩვენს რეკომენდაციებს შორის იყო მოსამართლეთა დაწინაურებაზე გადაწყვეტილებების ღია კენჭისყრით მიღების საჭიროება.

გასული წელი დატვირთული იყო მოულოდნელი და გაუთვალისწინებელი ცვლილებებით, რომელმაც კიდევ უფრო გააუარესა მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობის ხარისხი. მაისში მოსამართლეთა კონფერენციამ გავლენიანი ჯგუფის ინიციატვით, ე.წ. შარლ მიშელის ხელშეკრულების იგნორირებით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ახალი წევრები აირჩია. **პარტნიორებთან ერთად ჩვენი კრიტიკული პოზიცია აქციით გამოვხატეთ.** გარდა ამისა, საერთაშორისო პარტნიორების მოწოდების მიუხედავად, იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ პარლამენტს უზენაესი სასამართლოში დასანიშნი 9 კანდიდატი წარუდგინა, საიდანაც პარლამენტმა ივლისში 6 ახალი წევრი შეარჩია.



ჩვენთვის მართლმსაჯულების სისტემის დამოუკიდებლობა ერთ-ერთ მთავარ ამოცანად რჩება. ჩვენი ორგანიზაცია სისტემაში მიმდინარე პროცესებს ყურადღებით აკვირდებოდა. წლის ბოლოს, დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა საერთო სასამართლოების შესახებ კანონში ცვლილებები მიიღო, რომლებმაც კანონში არსებული ზოგიერთი პოზიტიური რეგულაცია გააუარესა და საბოლოოდ, ხელი შეუწყო მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფის კიდევ უფრო გაძლიერებას. ჩვენი ორგანიზაცია დროის სიმწირის მიუხედავად აქტიურად ჩაერთო კანონის საკომიტეტო განხილვაზე. სამწუხაროდ პარლამენტის საკომიტეტო მოსმენის პროცესი ფორმალურად წარიმართა. შედეგად როგორც საერთაშორისო პარტნიორების, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების არც ერთი რჩევა არ იქნა გათვალისწინებული.

გასულ წელს **მონაწილეობა მივიღეთ სამოქალაქო აქტივისტების მიერ სასამართლო კლანზე გადაღებულ დოკუმენტურ ფილმებში,** რომელიც მარტივად და სრულყოფილად აჩვენებს სასამართლო სისტემაში ძალთა დაუბალანსებელ კონცეტრაციას ერთი ჯგუფის ხელში და ამით გამოწვეულ პრობლემებს.

მართლმსაჯულების სისტემის კვლევისა და მონიტორინგის საქმიანობაში მთავარი წვლილი ჩვენმა იურისტებმა ***თამთა კახიძემ, მაგდა ჯიმშელეიშვილმა და ვანო ჩიტაშვილმა*** შეიტანეს. ისინი არიან ჩვენი კვლევების ავტორები და უშუალოდ მონაწილეობდნენ ყველა სხვა აქტივობაში, რომელიც ამ მიმართულებით ჩვენმა ორგანიზაციამ აწარმოა.

მოგებული საქმეები - 2021

თეონა ზაქარაშვილი

სამართლებრივი კონსულტაციის ცენტრის კოორდინატორი, იურისტი

ჩვენი ორგანიზაციის იურისტების ძალიან მოტივირებულმა გუნდმა აქტიური მუშაობა გასწია სახელმწიფოსგან დაჩაგრული მოქალაქეების სრულიად უანგაროდ დახმარების კუთხით. ამ პანდემიური წლის განმავლობაში დისტანციურად, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით **2018 მოქალაქეს** გავუწიეთ უფასო იურიდიული კონსულტაცია, **68 საქმე მოვიგეთ** და განვაგრძეთ მიმდინარე დავების სასამართლოებში წარმოება.

200-მდე ჟურნალისტის ინტერესებს ვიცავთ სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოში, ხოლო წლის განმავლობაში სამოქალაქო აქტივისტების დაკავების 11 საქმე ვაწარმოეთ.

მნიშვნელოვანია ასევე უკანონო მოსმენების საქმე, რომელშიც ჩვენ ორგანიზაციასთან ერთად კიდევ ორი პარტნიორი ორგანიზაციის ხელმძღვანელები ფიგურირებდნენ. მართალია, მათი საქმიანი კომუნიკაციის უკანონოდ მოსმენაზე ჩვენი მოთხოვნით პროკურატურამ გამოძიება დაიწყო, თუმცა შედეგი ჯერ არ დამდგარა.

სამსახურიდან უკანონოდ განთავისუფლებულმა მოქალაქემ, რომელმაც ისედაც დაკარგა შემოსავლის წყარო ან გლეხმა, რომელიც წლების განმავლობაში უშედეგოდ ცდილობს საკუთარი მიწის რეგისტრაციას, ჟურნალისტმა, რომელიც დაჩაგრეს ან უკანონოდ დაკავებულმა აქტივისტმა უნდა იცოდეს, რომ ჩვენ, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე წავიღებთ მათ საქმეს სასამართლოში და მათი უფლებების დასაცავად ყველა სამართლებრივ გზას მივმართავთ.

ანა ბერძენიშვილი

იურისტი

ვაჟა ანანიძის საქმე

ვაჟა ანანიძე საზღვაო აკადემიიდან 2020 წლის 17 ივლისს გაათავისუფლეს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაზე აპელირებით. თუმცა რეალურად ბატონი ვაჟა ანანიძის საზღვაო აკადემიის რექტორისა და კიდევ რამდენიმე პროფესორის პლაგიატში მხილების, ასევე აკადემიაში კორუფციასა და ნეპოტიზმზე ღიად საუბრის გამო დასაჯეს.

ერთ წელზე მეტი ვაჟა ანანიძე პერმანენტული აქციებით აპროტესტებდა მის უკანონო დათხოვნას და აკადემიაში სავარაუდო კორუფციული ფაქტებით დაინტერესებისკენ მოუწოდებდა შესაბამის უწყებებს.

პარალელულად, ჩვენი დახმარებით რთული და ხანგრძლივი სასამართლო განხილვები მიმდინარეობდა ბატონი ვაჟას უფლებების დასაცავად. ბათუმის საქალაქო სასამართლომ 2021 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, ჩვენი სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა - ის ტოლფას პოზიციაზე აღდგა, აკადემიას კი კომპენსაციის სახით 25 ათასი ლარის გადახდა, ხოლო 11 900 ლარზე მეტი განაცდური ხელფასის ანაზღაურება დაეკისრა.

მარიამ შაინიძე

იურისტი

ნოდარ აბაშიძის საქმე

ნოდარ აბაშიძის საქმე ერთ-ერთი მაგალითია იმისა, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. მიწის დაკანონების 13 წლიანი საგა სასამართლოს ორ ინსტანციაში, საბოლოოდ, წარმატებით დავასრულეთ.

ნოდარ აბაშიძე, 1993 წლიდან ფლობს და სარგებლობს ხულოს რაიონის კურორტ გოდერძის ტერიტორიაზე მდებარე 5215 კვ.მ მიწის ნაკვეთით და მასზე მდებარე 65.87 კვ.მ საცხოვრებელი ფართით, 2009 წლიდან კი იბრძვის ამ რეალობის სამართლებრივი აღიარებისთვის.

მან 2-ჯერ, სრულად დაუსაბუთებელი უარი მიიღო საკუთრების უფლების აღიარებაზე კომისიისგან. პირველ ჯერზე, სასამართლომ ჩვენი დახმარებით, კომისიის გადაწყვეტილება გააბათილა და ახლის გამოტანა დაავალა, თუმცა კომისიამ კვლავაც სრულიად დაუსაბუთებლად უთხრა ბატონ ნოდარს უარი საკითხის დადებითად გადაწყვეტაზე, მათ შორის იმ მოტივითაც რომ ნაკვეთი არა სახელმწიფოს, არამედ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებას წარმოადგენდა.

ბატონი ნოდარი კი, თავის მხრივ, არ დათანხმდა მიწის დათმობის სანაცვლოდ აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს შემოთავაზებულ ფულად კომპენსაციას - ბოლომდე გავყევით სამართლებრივი ბრძოლის გზას.

ხელვაჩაურის რაიონულმა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებმა სრულად დააკმაყოფილეს ჩვენი სასარჩელო მოთხოვნები, უკანონოდ მიიჩნიეს, აღიარების კომისიის მიერ უარის თქმის საფუძვლები. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიც წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას.

ამ დავასთან დაკავშირებით, **სასამართლოს მიერ გაკეთებეული სამართლებრივი განმარტებები პრეცედენტულია** და მნიშვნელოვანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების აღიარებასთან დაკავშირებული არაერთი დავის შემდგომი გადაწყვეტისთვის.

ზვიად ცირეკიძე

იურისტი

ლეილა ქაროსანიძის საქმე

ჩემთვის ძალიან საინტერესო აღმოჩნდა ლეილა ქაროსანიძის წარმატებით დასრულებულ საქმეზე მუშაობა.

ლეილას ოჯახი 1925 წლიდან ფლობდა წინაპრების მიერ შეძენილ მიწის ნაკვეთს, თუმცა მის საკუთრებად რეგისტრაციას ვერ ახერხებდა. საკუთრების უფლების მოწმობის მისაღებად მან ხონის მერიის საკუთრების უფლების აღიარების კომისიას მიმართა, თუმცა სრულიად დაუსაბუთებელი უარი მიიღო. ჩვენი დახმარებით, სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ კომისიას ახალი აქტის გამოცემა დაავალა, თუმცა კომისიამ მეორედაც არ აღიარა მისი საკუთრების უფლება.

საბოლოოდ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ სრულად დააკმაყოფილა ჩვენი მოთხოვნა, გააუქმა კომისიის გადაწყვეტილება და მასვე დაავალა ხონის სოფელ გორდში 2800 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ლეილა ქაროსანიძის საკუთრებად აღიარება.

ვიქტორ კვიტატიანი

იურისტი

თამილა ბერაიას საქმე

2021 წელს წარმატებით დასრულებულ საქმეთაგან, გამოვარჩევ თამილა ბერაიას შრომით სამართლებრივ დავას.

ქალბატონი თამილა სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების ეროვნული სააგენტოს“ მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე მუშაობდა 15 წელი. ამასთანავე, ის სამი შვილის დედაა, რომელთაგან ერთი სამ წლამდე ასაკისაა, ხოლო მისი ერთ-ერთი შვილი სპეციალური საჭიროებების მქონეა. თამილა ბერაია ერთადერთი დასაქმებული იყო და შესაბამისად, მატერიალურადაც ის უზრუნველყოფდა ოჯახს.

ტესტირებაში მიღებული მაღალი ქულების მიუხედავად, რეორგანიზაციის საფუძვლით ის 2020 წლის 27 თებერვალს უკანონოდ დაითხოვეს სამსახურიდან, რის გამოც ოჯახი ურთულესი ფინანსური პრობლემების წინაშე აღმოჩნდა და დახმარებისთვის ჩვენ მოგვმართა.

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ და შემდეგ ქუთაისის სააპელაციო სასამართლომაც სრულად დააკმაყოფილა ჩვენი სასარჩელო მოთხოვნები: ბათილად ცნო თამილა ბერაიას სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანება და აღადგინა მთავარი სპეციალისტის პოზიციაზე. ასევე, მას აუნაზღაურდება განაცდური ხელფასი, რომელიც ამ მომენტისთვის 22 000 ლარს შეადგენს.

ნატალი გოგიაშვილი

იურისტი

მარინე ჟვანიას საქმე

ჩემს საქმეებს შორის გამოვარჩევდი მარინე ჟვანიას საქმეს, რომელიც პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოებში წარმატებით დასრულდა.

მარინე ჟვანია სსიპ "განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში" 2009 წლიდან სხვადასხვა ხელმძღვანელ თანამდებობას იკავებდა. 2015 წლიდან კი ცენტრის სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსად დაინიშნა, თუმცა ოთხ წელიწადში ცენტრის ახალმა ხელმძღვანელობამ რეორგანიზაციისა და მისი ამ თანამდებობის გაუქმების საფუძვლით მარინე ჟვანია უკანონოდ გაათავისუფლა.

2019 წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ დაგვიკმაყოფილა მოთხოვნები, ბათილად ცნო მარინე ჟვანიას თანამდებობიდან გათავისუფლების ბრძანება და ცენტრს მის სასარგებლოდ 28 000 ლარის ოდენობის კომპენსაციის გადახდა დააკისრა.

სააპელაციო სასამართლომ კი, ჩვენი სააპელაციო საჩივრის საფუძველზე, კომპენსაციის ოდენობა 50 400 ლარამდე გაზარდა.

ჩვენი ბენეფიციარები



მაია კახნიაშვილი

ჩემს ცხოვრებაში დადგა მომენტი, როცა სრულიად მარტო აღმოვჩნდი სისტემის პირისპირ, მომენტი, როცა სრულიად უდანაშაულოდ და კანონდარღვევით გამათავისუფლეს სამსახურიდან. მესაჭიროებოდა ისეთი პროფესიონალი, რომელიც გვერდით დამიდგებოდა და გამიწევდა სამართლებრივ დახმარებას - სწორედ ასეთი აღმოჩნდა „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ იურისტი, ბატონი ზვიად ცირეკიძე.

ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი - ვიბრძოლეთ და წარმატებასაც მივაღწიეთ!

ღირსეულ ქვეყანას პროფესიონალები აშენებენ, სადაც თითოეული მოქალაქე დაცულად გრძნობს თავს. მინდა ასეთ ქვეყანაში ვცხოვრობდეთ.

თამილა ბერაია

მინდა მადლიერება გამოვხატო არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ და მისი ზუგდიდის რეგიონული ოფისის იურისტის - ვიქტორ კვიტატიანის მიმართ, იმ სამსახურისთვის, რომელიც ჩემი სამოქალაქო საქმის წარმოებისას გასწია.

თქვენი პროფესიონალიზმის დამსახურებაა ორი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება რის შემდეგაც აღდგენილი ვარ სამსახურში. ამ გადაწყვეტილებების წაკითხვა სიამაყესა და აღელვებას მგვრის. მინდა გისურვოთ ბევრი წარმატება!

გული აბაშიძე

გამარჯობა, მე ვარ გული აბაშიძე, სასამართლოში მაქვს შეტანილი სარჩელი პროკურატურის წინააღმდეგ, სისხლის სამართლის საქმის წარმოების შედეგად ჩემთვის მოყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

ჩემს უფლებებს “საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს” ბათუმის ოფისის იურისტი, მარიამ შაინიძე იცავს, რომელსაც ძალიან ვენდობი, რადგან საქმეს ეკიდება გულისყურით და მეხმარება ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე. ამ თანამშრომლობით ვარ 100%-ით კმაყოფილი. მათი დახმარებით, მოვიგე დავა როგორც ბათუმის საქალაქო, ასევე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოებში.

უღრმესი მადლობა მინდა ვუთხრა ყველა თანამშრომელს ამ დუხჭირ ცხოვრებაში მოქალაქეების გვერდით დგომისათვის!

ზვიად ზურაბიშვილი

მას შემდეგ რაც თბილისის ვაკის რაიონის გამგეობის სამხედრო აღრიცხვის განყოფილების უფროსის თანამდებობიდან უკანონოდ გამათავისუფ-ლეს, მივმართე „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ დახმარებისთვის, რომლის კვალიფიციური იურისტებიც უკვე წლებია იცავენ ჩემს ინტერესებს. მათი დახმარებით, მოვახერხე პირველ და მეორე ინსტანციებში საქმის მოგება და ახლა უკვე უზენაეს სასამართლოში დავის გაგრძელება. მინდა, მადლიერება და განსაკუთრებული პატივისცემა გამოვხატო ორგანიზაციის და მათი იურისტების მიმართ.

პარლამენტი - ჩვენი დაკვირვების სამიზნე

ლიკა საჯაია

საპარლამენტო გუნდის ლიდერი

მე-10 მოწვევის პარლამენტის პირველი სამუშაო წელი დაძაბული პოლიტიკური ვითარების ფონზე საკმაოდ რთული და არაორდინალური აღმოჩნდა. საკანონმდებლო ორგანოს მუშაობაში ოპოზიცია სრულფასოვნად არ მონაწილეობდა და უმეტეს დროს ბოიკოტის რეჟიმში ატარებდა, მწვავე პოლიტიკურ ვითარებასა და აქციებთან ერთად, საქართველოს პარლამენტისთვის ასევე გამოწვევად იქცა კოვიდ პანდემიის დროს ეფექტური საპარლამენტო კონტროლის განხორციელება. მიუხედავად იმისა, რომ პანდემია უკვე მეორე წელია სახეზეა, პარლამენტმა კვლავ ვერ გაართვა თავი საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებას და მთელი პასუხისმგებლობა მთავრობაზე გადაიტანა.

ჩვენი ორგანიზაცია მუდმივად ზრუნავს პარლამენტის ინსტიტუციური განვითარებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ჩვენი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება ახალი მოწვევის პარლამენტისთვის.

2021 წელს **რეკორდული რაოდენობის, 14 ტრენინგი ჩავატარეთ** პარლამენტის წევრების, პარლამენტის აპარატის და მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროების თანამშრომლებისათვის შემდეგ თემებზე: კორუფციის კვლევა და პრევენცია, პარლამენტის მექანიზმები კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით, ანტიკორუფციული გარემო და გამოწვევები საქართველოში, ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფ-ლების ფუნქციები და უფლება-მოვალეობები, პარლამენტის ღიაობისა და გამჭვირვალობის სტანდარტი, კანონპროექტის დასაბუთების სტანდარტი (განმარტებითი ბარათი და რეგულირების ზეგვალენის შეფასების ანგარიში), ძალაუფლების გადანაწილება პარლამენტში და მისი ასახვა საპარლამენტო კონტროლზე, საპარლამენტო კონტროლი უსაფრთხოების სექტორზე, საპარლამენტო ზედამხედველობა საგანგებო მდგომარეობის დროს, საპარლამენტო კონტროლის ახალი მექანიზმები და მისი განხორციელება პრაქტიკაში, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის როლი საპარლამენტო კონტროლის პროცესში.

ტრენინგების ეს თემები დეპუტატებთან და პარლამენტის აპარატთთან კონსულტაციით და მათი საჭიროებების გათვალისწინებით შეირჩა.

2021 წელს **მე-9 მოწვევის პარლამენტის 4 წლის საქმიანობის ანგარიში** გამოვაქვეყნეთ. "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" ***მთავარმა იურისტებმა თამარ ტატანაშვილმა და გიგი ჩიხლაძემ*** გაანალიზეს მოცულობითი ინფორმაცია პარლამენტის თითოეული წევრის, კომიტეტის, ფრაქციის, საბჭოების საქმიანობის, მიღებული კანონების ავკარგიანობისა და საპარლამენტო კონტროლის განხორციელების შესახებ. პარლამენტის საქმიანობის გაანალიზების შედეგად შევიმუშავეთ რეკომენდაციები, რომლებიც მნიშვნელოვანი იქნება მე-10 მოწვევის პარლამენტისთვისაც საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

გამოვაქვეყნეთ ასევე **სპეციალური ანგარიში, რომელიც შეეხება საპარლამენტო კონტროლის განხორციელებას 2019-2020 წლებში.** ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საპარლამენტო კონტროლის განხორციელებას კოვიდ პანდემიის დროს და ოპოზიციის ჩართულობას საპარლამენტო ზედამხედველობის პროცესში. ანალიზის შედეგად შემუშავებულია რეკომენდაციები როგორც კანონმდებლობის გაუმჯობესების, ასევე პრაქტიკის დახვეწის მიზნით. **საპარლამენტო კონტროლის შესახებ ასევე გამოვეცით ბროშურა,** სადაც მარტივი ენითაა ახსნილი საპარლამენტო კონტროლის პროცედურები. ბროშურა პარლამენტის ახალ წევრებს დავურიგეთ.



2021 წელს ასევე გამოვაქვეყნეთ სპეციალური **ანგარიში მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრების ბიზნეს კავშირების, შეუთავსებელი საქმიანობისა და არადეკლარირებული ქონების შესახებ.** ანგარიშის ფარგლებში გამოვავლინეთ არაერთი დარღვევა, მაგალითად პარლამენტის 10-მა წევრმა არასრულად დაადეკლარირა წილები, 13-მა კი შვილობილი საწარმოები, 25 შემთხვევაში წილები სამართავად არ იყო გადაცემული სხვა პირისთვის, 12 დეპუტატი პარლამენტში საქმიანობის პარალელურად რეგისტრირებული აღმოჩნდა კომპანიის ხელმძღვანელად. არსებული დარღვევების შესახებ ინფორმაცია რეაგირებისათვის გადავუგზავნეთ საჯარო სამსახურის ბიუროს და პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს.

2021 წელს გამოვაქვეყნეთ **6 მნიშვნელოვანი კანონპროექტის ანალიზი.** ამ კანონპროექტებს შორის იყო: საარჩევნო კანონდებლობის ცვლილებები, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურთან დაკავშირებული საკანონმდებლო პაკეტი, კანონპროექტი ამნისტიის შესახებ და სხვა.

პარლამენტში წარდგენილ ინიციატივებსა და მიმდინარე პროცესებზე გავმართეთ **3 დისკუსია,** რომელშიც ექსპერტები, დაინტერესებული მოქალაქეები, არასამთავრობო ორგანიზაციების და სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

საკანონმდებლო პროცესის ანალიზის პარალელურად, პარლამენტის მონიტორინგის გუნდი არაერთი განცხადებით გამოეხმაურა პარლამენტში მიმდინარე პროცესებს.

ქვეყნისთვის კვლავ ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად რჩება ელიტური კორუფცია და ანტიკორუფ-ციული პოლიტიკა. "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ" მოამზადა საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნას. კანონპროექტი ჯერ კიდევ მე-9 მოწვევის პარლამენტს წარედგინა, რომელმაც ის განუხილველად დატოვა. მე-10 მოწვევის პარლამენტში ჩვენს მიერ შემუშავებული საკანონდებლო პაკეტი ოპოზიციონერმა დეპუტატებმა ხელახლა დააინიცირეს.

ჩვენი ორგანიზაცია აქტიურადაა ჩართული პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობისა და ღიაობის გაუმჯობესებაში. "საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო" ღია და გამჭვირვალე მმართველობის მუდმივმოქმედ საპარლამენტო საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფის წევრია. 2021 წელს, ისევე როგორც გასულ წლებში, **პარლამენტს შევთავაზეთ არაერთი რეკომენდაცია ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმაში შესატანად.** ასევე აქტიურად ვმონაწილეობდით განმარტებითი ბარათის შედგენის სახელმძღვანელოს შექმნაში, რომელიც ჩვენი და გაეროს განვითარების პროგრამის თაოსნობით წელს უნდა გამოიცეს.

პიარ აქტივობები - 2021

ჩვენებური ევროპა

წელსაც, შარშანდელის მსგავსად, პანდემიამ გვაიძულა უმეტესი პიარ აქტივობა კვლავ დისტანიცურ რეჟიმში და ადამიანებთან ნაკლები კონტაქტით განგვეხორციელებინა. ამჯერადაც გავართვით თავი ციფრულ ცხოვრებას და მოვახერხეთ ჩვენი სათქმელი ფართო საზოგადოებისთვის ამ ფორმით მიგვეწვდინა.

ტელეკომპანია "მთავართან" თანამშრომლობით დაწყებული გადაცემა "ჩვენებური ევროპა" 2021 წელსაც აქტიურად გაგრძელდა - 20 გადაცემა მომზადდა. ამ წარმატებული პროექტის მიზანია ევროინტეგრაციის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, მოსახლეობასთან ევროპულ ღირებულებებსა და საქართველოს დასავლური მისწრაფების მნიშვნელობაზე საუბარი, ასევე რაც მთავარია, იმის წარმოჩენა, რომ ჩვენ ევროპა ვართ.

გადაცემის შემქმნელ გუნდთან ერთად, რამდენიმე რეგიონში მოგზაურობა პანდემიის მიუხედავადაც მოვახერხეთ. გადაცემის ავტორების ინიციატივით, ამჯერად მაყურებელს ვაჩვენეთ, თუ როგორია ჩვენი კამპანიის "ძალა ევროპაშიას" ტრადიციული გასვლითი შეხვედრები რეგიონებში მაცხოვრებლებთან.

წლევანდელ გადაცემებში, სხვა ბევრ პატივცემულ სტუმართან ერთად, ევროკავშირის, აშშ-ის და ლიეტუვის ელჩები დავპატიჟეთ რეგიონებში.

“ძალა ევროპაშია” - ტური რეგიონებში

კამპანიის ფარგლებში ვეწვიეთ, ბათუმს, გონიოს, ქედის რაიონის სოფელებს ვაიოსა და მერისს, ზუგდიდსა და ქუთაისს. შეხვედრები სხვადასხვა ფორმატში, შერჩეული მიზანჯგუფების მიხედვით ჩავატარეთ - სოფლებში ადგილობრივ მოსახლეობას შევხვდით, გავიცანით ადგილობრივი მეწარმეები, რომლებმაც იმ პატარა ბიზნეს საქმიანობების შესახებ მოგვითრეს, რომლებიც ძირითადად ევროკავშირის პროექტებში ჩართულობით წამოიწყეს და უკვე უამრავ ტურისტს უმასპინძლეს. მოვისმინეთ ყველა მათგანის პრობლემა, ადგილზე ჩვენმა იურისტებმა მათ იურიდიული კონსულტაცია გაუწიეს.

აჭარლები დიდი სითბოთი შეხვდნენ ჩვენი კამპანიის მხარდამჭერებს, ჩვენს მეგობარ მსახიობებს, მომღერლებს და მწერლებს, რომლებიც წელსაც ერთგული თანამგზავრები იყვნენ ამ საქმეში.

ბათუმის ამერიკულ კუთხეში შეკრებილ ახალგაზრდებს ევროინტეგრაციის საკითხებზე ვესაუბრეთ და იქვე გავმართეთ გერმანელი ფოტოგრაფის, ენათმეცნიერისა და ეთნოლოგის, ადოლფ დირის გამოფენა, რომელიც ასი წლის წინ საქართველოსა და კავკასიაში გადაღებულ ფოტოებს მოიცავდა. გამოფენის მასალები ლიტერატურის მუზეუმთან პარტნიორობით შევარჩიეთ. ბათუმში ღონისძიება ღია ცის ქვეშ, ბენდის "ASEA SOOL" მუსიკალური ნომრებით დასრულდა, სადაც ბევრმა ადგილობრივმა და ტურისტმა მოიყარა თავი.

“ვილიკლიკოთ ევროპაზე”

ჩვენი ორგაინზაციისა და ქუთაისის რადიო “ძველი ქალაქის” ევროინტეგრაციის თემებზე მეგობრობა მეხუთე წელს ითვლის. გადაცემათა ციკლის “ვილიკლიკოთ ევროპაზე” წამყვანი დათო ლიკლიკაძე, ჩვეული ენთუზიაზმით აგრძელებს თემის პოპულარიზაციას სხვადასხვა მოწვეულ სტუმართან ერთად. გადაცემის მიზანია განვაგრძოთ საზოგადოების აქტიურ წარმომადგენლებთან ჩვენთვის მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა: რატომ ავირჩიეთ დასავლური გზა და რა საფრთხეები მოდის რუსეთისგან.

აგვისტოს ომის კონკურსი

ტრადიციულად ამ წელსაც გამოვეხმაურეთ რუსეთ - საქართველოს აგვისტოს ომის თარიღს. ამჯერად, საზოგადოების ჩართულობა პოსტერების კონკურსით გამოვიწვიეთ - ყველა მსურველს მივეცით საშუალება საკუთარი ნამუშევრით გაეხსენებინა რუსეთის აგრესია და ამ ფორმით მიეგო პატივი დაღუპული გმირების ხსოვნისთვის. 50-მდე საკონკურსო ნამუშევრიდან, არტისტ “გაგოშასთან” ერთად ათი საუკეთესო შევარჩიეთ, რომელიც ჩვენს სოციალურ გვერდებზე განთავსდა, გამარჯვებული ნამუშევრის ავტორს კი ფულადი ჯილდო გადავეცით.

თანამშრომლობა ლიტერატურულ კონკურსთან “საბა”

ამ ავტორიტეტულ კონკურსში ჩვენი ორგანიზაციის ჩართულობის მიზანი იყო, გაგვეხსენებინა, თუ რა გავლენა მოახდინა ჩვენი ქვეყნის ისტორიაზე რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ. «საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ისტორიის რეფლექსია ქართულ ლიტერატურაში» - ჩვენ მიერ დაწესებული ამ ახალი ნომინაციის სახელწოდება, ლიტერატურულ პრემია “საბას” დამფუძნებლებსა და ჩვენს შორის დიდი ხნის მსჯელობის, ფიქრის და მუშაობის შედეგად შეირჩა.

ჟიურიმ გამოავლინა ორი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელიც ყველაზე კარგად ასახავდა საბჭოთა გავლენებს: ბიძინა მაყაშვილის «ბლუზი მტკვირს პირას» და ივა ფაზუაშვილის «ბუნკერი». “საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” სპეციალური პრიზი ახალ ნომინაციაში გამარჯვებულებს ჩვენმა აღმასრულებელმა დირექტორმა ეკა გიგაურმა და ევროკავშირის მა კარლ ჰარცელმა გადასცეს.

კონკურსი საგამოძიებო ჟურნალისტიკაში

კონკურსებით ახალგაზრდების დაინტერესება წელსაც მნიშვნელოვან საქმედ ჩავთვალეთ, მითუმეტეს ისეთ საკითხში, როგორიც საგამოძიებო ჟურნალისტიკაა. ეს მიმართულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. აუცილებლად ჩავთვალეთ, ჩვენს ორგანიზაციაში არსებული რესურსი და ამ საკითხში ჩვენი ექსპერტების დაგროვილი გამოცდილება დამწყები ჟურნალისტებისთვის გაგვეზიარებინა.

კონკურსი ყველა უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტისთვის გამოვაცხადეთ, მივიღეთ 150-ზე მეტი განაცხადი. საბოლოოდ, 100-მდე სტუდენტს მიეცა წინასწარი მომზადების გავლის შესაძლებლობა. მომავალ ჟურნალისტებს სალექციო კურსებზე ჩვენი ორგანიზაციის პროგრამების ხელმძღვანელებმა და ანალიტიკოსებმა დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს ისეთ თემებზ, როგორიცაა: პარტიების დაფინანსება, შესყიდვები, ღია მონაცემების გამოყენება, და საგამოძიებო ნაშრომის მომზადების ტექნიკა.

ამ ცოდნის მიღების შედეგად, მონაწილეეებმა თავიანთი საგამოძიებო მასალები წარმოადგინეს. დასაჯილდოვებლად ჟიურიმ სამი გამარჯვებული შეარჩია. მათ ფულად ჯილდოებთან ერთად, ჩვენგან მომავალში საქმის პროფესიონალურად კეთების სტიმული და ახალი ცოდნაც მიიღეს.

“ხალხისთვის ხალხთან ერთად”

სამოქალაქო საბჭოები ჩვენი საქმიანობის წარმატების ერთ-ერთი ნათელი მაგალითია, რასაც ჩართული მოქალაქეების ენთუზიაზმიც ადასტურებს. შერჩეულმა დევიზმა “მოქალაქეთა დახმარებით მათივე პრობლემების მოგვარება”, რომელიც ზუსტად ასახავს საბჭოების საქმიანობას, რეალური საქმითაც გაამართლა.

იმისათვის, რომ მოქალაქის აქტიურობა, რასაც ის ჩვენი დახმარებით სამოქალაქო საბჭოს წევრობისას იჩენს, გადამდები გამხდარიყო სხვებისთვისაც, ყველა რეგიონში, ცალკეული წარმატების მაგალითებზე გადავიღეთ ვიდეოები, სადაც ვაჩვენეთ, რომ მონდომების შემთხვევაში, პრობლემების მოგვარება უტოპია არაა, ხოლო ბრძოლას და აქტიურობას ყოველთვის მოაქვს სათანადო შედეგი.

ხელისუფლება ვალდებულია და ჩვენ უნდა მოვთხოვოთ მას იმ ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება, რომელსაც ვერ ხედავს ან თვალს ხუჭავს მათ არსებობაზე. ვიდეოებში ჩვენი საბჭოს წევრები საუბრობენ, როგორ გამოავლინეს ეს თუ ის ინფრასქტრუქტურული პრობლემა, შეაგროვეს ხელმოწერები მათი გადაჭრის მოთხოვნით, შემდეგ ჩვენი დახმარებით მიმართეს ხელისუფლებას და საბოლოოდ, კი ერთად მივაღწიეთ მათ მოგვარებას - წყლის რეაბილიტაციას, გზების და ტროტუარების დაგებას, ბაღების, სკოლების, ბიბლიოთეკების რეაბილიტაციას, აღჭურვას და ა.შ.

კორუფციის ვიდეოები "ფორმულასთან" ერთად

კიდევ ერთი ახალი ფორმა, რომელიც წელს კორუფციაზე სასაუბროდ მოვიფიქრეთ, ტვ "ფორმულას" კრეატიულ გუნდთან ერთად შევიმუშავეთ და მიზნად დავისახეთ, ჩვენს მიერ ნაკვლევი კორუფციული ფაქტები ვიდეოების ციკლში საზოგადოებისთვის მოგვეყოლა.

კორუფციის ლექსიკონი

კორუფციის თემაზე ცნობიერების ასამაღლებლად, ბოლო ორი წელია "კორუფციის ლექსიკონის" საგანმანათლებლო რუბრიკა წამოვიწყეთ, რომლის საშუალებითაც ამ სფეროში ხშირად გამოყენებადი ის სპეციფიკური სიტყვები და ფრაზებია ახსნილი, რომელთა ზუსტი განმარტება საზოგადოებამ შესაძლოა არც კი იცოდეს. ვფიქრობთ, ასეთი სახით სასარგებლო ინფორმაციის მიღება მარტივი აღსაქმელია და ამ სფეროში მეტად გათვითცნობერებას უწყობს ხელს. მაგალითად, ბევრს შესაძლოა პირველად გაეგო, რომ ნეპოტიზმიც კორუფციის ერთ-ერთი სახეობაა.





#ძალაევროპაშია

განვაგრძეთ ჩვენი კამპანიის #ძალაერვოპაშიას მხარდამჭერების ვიდეო მიმართვები. კვლავ ვარჩევთ საზოგადოებისთვის ცნობად და პატივსაცემ ადამიანებს, ვისი აზრიც, ხალხისთვის მნიშვნელოვანია. ვცდილობთ, ამ ერთ წუთიანი ვიდეოებით, შევკრათ ერთიანი სათქმელი და ხალხს მივაწოდოთ მთავარი მესიჯი, რომ #ძალაევროპაშია.

სოციალურ ქსელებში წლევანდელ ვიდეოებსაც არ დაკლებია დაინტერესება, განვათავსეთ 10 ვიდეო, რომლებშიც ვეცადეთ ყველა თაობის და პროფესიის ადამიანები მოგვეცვა: მწერლები, სტუდენტები, მსახიობები და მუსიკოსები. ევროინტეგრაციის სიახლეებზე და მნიშვნელოვან თემებზე, შევქმენით 18 პოსტერი, ამ წელს ჩვენი სოციალური მედიის საშუალებით, ჩვენს გამომწერებს გავაცანით კიდევ ორი სტუდენტი, რომელიც ბლოგების და ვიდეო ბლოგების სახით გვიზიარებდნენ საკუთარ გამოცდილებას ევროპაში სწავლის შესახებ.

ანტიკორუფციული კვირეული 2021

შეიძლება ითქვას, რომ ანტიკორუფციული კვირეული ჩვენი ორგანიზაციისთვის წლის ერთ-ერთი მთავარი მოვლენაა. სწორედ ამ კვირეულში, 9 დეკემბერს აღინიშნება კორუფციასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე. კვირეული 2021 წელსაც საკმაოდ დატვირთული იყო ჩვენს მიერ ორგანიზებული სხვადასხვა ღონისძიებებით: გამოვაქვეყნეთ კორუფციასთან დაკავშირებული ანგარიშები და გავმართეთ ონლაინ პრეზენტაციები, სოციალურ ქსელებში გავავრცლეთ ქვიზი - "როგორ გესმის კორუციის ანა-ბანა", ასევე, შესაბამისი ვიდეო-ინსტრუქციით და პოპულარულ გადაცემებში სტუმრობით საზოგადოებას ავუხსენით, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ჩვენი განახლებული ვებ-გვერდი companyinfo.ge, რომელიც მომხმარებელს კიდევ უფრო უმარტივებს კორუფციული კავშირების დადგენას, კვირეულის დასკვნით ღონისძიებაში კი დავაჯილდოვეთ საგამოძიებო ჟურნალისტიკის კონკურსში გამარჯვებული სტუდენტები.



ქვიზები

ქვიზები კიდევ ერთი ახალი მიმართულებაა, რომელსაც წლის განმავლობაში აქტიურად მივდიეთ. ონლაინ ცხოვრებას შეჩვეული საზოგადოების ჩართულობისთვის და ჩვენი თემების აქტუალობისთვის არაერთი სახალისო და საგანმანათლებლო დანიშნულების ქვიზი მოვამზადეთ. ონლაინ მედია on.ge-სა და ნეტგაზეთთან თანამშრომლობით, კორუფიის საკითხებზე და ევროინტეგრაციის თემებზე 5 ქვიზი გამოვაქვეყნეთ, რასაც საზოგადოების აქტიური ჩართულობა მოჰყვა.

ჩვენი ფილმი გაეროს კონკურსზე

კორუფციის თემაზე ჩვენს მიერ წინა წელს, რადიო "თავისუფლებასთან" ერთად ჩატარებულ კონკურსში გამარჯვებული ფილმი "ცათამბჯენი", ამჯერად უკვე საერთაშორისო არენაზე გავიდა, გაეროს კონკურსზე წარსდგა და გამარჯვებულ სამეულში საპრიზო ადგილი დაიკავა.

საერთაშორისო კონკურსი «კორუფციის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის საზოგადოების კოალიციის" (UNCAC Coalition) ორგანიზებული იყო. კონკურსში სხვადასხვა ქვეყნის ოცზე მეტმა ფილმმა მიიღო მონაწილეობა, გამარჯვება კი სამმა მოიპოვა. ეს კიდევ ერთი დასტური იყო ჩვენთვის, თუ რამდენად სწორი გზაა მსგავსი კონკურსების ორგანიზება იმისათვის, რომ ანტიკორუფციული განწყობების გაღვივებაში საზოგადოების ჩართულობას მრავალფეროვანი ხერხებით და ფორმებით მივაღწიოთ.

ჩვენ მედიაში



„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" მიმართ მედიის ინტერესი ტრადიციულად მაღალ ნიშნულზე შენარჩუნდა მთელი 2021 წლის განმავლობაში, რასაც ჩვენი კვლევებისა და განცხადებების აქტიურ გაშუქებასთან ერთად, ასევე განაპირობებდა პოლიტიკაში განგრძობადი კრიზისული ფონი და ჟურნალისტების დიდი ინტერესი სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე ჩვენი პოზიციონირების მიმართ.

ჟურნალისტებთან ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ იმით არ შემოიფარგლება, თუ რამდენად ვჩანვართ საინფორმაციო გამოშვებებსა თუ სხვადასხვა თოქ-შოუებში - ამ თანამშრომლობის ცალკე მიმართულებაა მათ კონსულტირება. ცალკეული ჟურნალისტები ხშირად მოგვმართავენ თხოვნით, რომ უკეთ გაერკვნენ ამა თუ იმ საკითხში, რაზეც ჩვენი მკვლევარები დაუზარელად აძლევენ მათ სწორ რჩევებს.

ჩვენი სიძლიერე ჩვენივე რესპოდენტების მრავალფეროვნებაშია. ხელმძღვანელობასთან ერთად, ყველა ჩვენი მკვლევარი აქტიურად ჩანს მედიაში, რათა საზოგადოებამდე სიღრმისულად და გასაგებად მივიტანოთ სათქმელი. მედიას ხშირად ჩვენს მიერ მომზადებულ მულტიმედია პროდუქტებისაც ვაწვდით, რასაც ისინი თავიანთ სიუჟეტებში პროდუქტიულად იყენებენ.

სულ ცოტა 3 388-ჯერ გამოჩნდა ჩვენი ორგანიზაცია წლის განმავლობაში ქართულ მედია სივრცეში, როგორც ტელევიზიითა და ინტერნეტ გამოცემებში, ისე რადიოში თუ პრესის ფურცლებზე.

კომპანია IPM-ის მონაცემებით, რომელიც უკვე წლებია ჩვენი ორგანიზაციის მედია მონიტორინგს ახორციელებს, 2021 წელსაც გაშუქების ტონი უმეტესწილად ნეიტრალური იყო და ძალიან იშვიათად გვხვდებოდა კრიტიკული შეფასებები.

სოციალური ქსელები

მორიგი პანდემიური წელი „ფეისბუქის" აქტიური გამოყენებით ჩავხურეთ. ეს პლატფორმა ჩვენი ორგანიზაციისთვის ინფორმაციის გასავრცელებელ ერთ-ერთ მთავარ წყაროდ რჩება. ამ სოციალურ ქსელში ორგანიზაციის ორ ოფიციალურ გვერდს ვმართავთ - ქართულ და ინგლისურ ენებზე.

„ფეისბუქზე" აქტიურად ვრცელდება ჩვენი განცხადებები, კვლევები, მოკლე ვიდეო რგოლები და ყველა ის პროდუქტი, რასაც ყოველდღიურად ვქმნით, ასევე, ფეისბუქია ის პლატფორმა, სადაც ყველაზე სწრაფად ვეხმაურებით ხოლმე ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებს. აქვე ქვეყნდება ჩვენი თანამშრომლების მედიაში გასული ინტერვიუები და კომენტარები. 2021 წელსაც "ფეისბუქი" ონლაინ პრეზენტაციების ტრანსლირებისთვის აქტიურად გამოვიყენეთ.

ინფორმაციის გავრცელებასთან ერთად, „ფეისბუქის" შესაძლებლობებს საკმაოდ ნაყოფიერად ვიყენებთ მოქალაქეებთან კომუნიკაციისთვის - პასუხობთ მათთვის საინტერესო შეკითხვებს, კრიტიკულ მოსაზრებებს არგუმენტებს ვახვედრებთ და ხშირად კომპლიმენტებსაც ვიღებთ.

„ფეისბუქზე" ცალკე გვერდი ფუნქციონირებს კამპანიისთვის „ძალა ევროპაშია", რომლის მიზანიც რუსულ პროპაგანდასთან ბრძოლა და ევრო-ატლანტიკური კურსის პოპულარიზებაა.

საერთაშორისო საზოგადოებისთვის ჩვენი საქმიანობის უკეთ გასაცნობად აქტიურად განვაგრძობთ სოციალურ ქსელ „ტვიტერის" გამოყენებას. 2021 წელს ინგლისურენოვან გვერდზე გამომწერების საერთო რაოდენობამ საგრძნობლად, 7306 -მდე იმატა, ხოლო, ქართულენოვანი გვერდის გამომწერების რაოდენობამ 4 096 შეადგინა.

განვაგრძობთ ჩვენი ორგანიზაციის საქმიანობის ამსახველი ფოტომასალის, ანგარიშების ვიზუალების განთავსებას სოციალურ ქსელ „ინსტაგრამში" და ამით ჩვენი აქტიურობის უკეთ წარმოჩენას ვცდილობთ.

ორგანიზაციაში არსებული ვაკანსიების გამოსაქვეყნებლად ასევე ვიყენებთ კიდევ ერთ სოციალურ ქსელს - „ლინქდინს".



ვებგვერდები - ჩვენი საამაყო პროდუქტი

Transparency.ge

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" ოფიციალური ვებ-გვერდი ორენოვანია - ქართული და ინგლისური, მასში თავმოყრილია ყველა ძირითადი ინფორმაცია ჩვენი გუნდის, ორგანიზაციის საქმიანობის, მისი დაფინანსების წყაროების და ყოველდღიური აქტივობების შესახებ. ჩვენი ვებგვერდის ერთ-ერთი მთავარი ღირსება მისი მდიდარი არქივია, რომელშიც საძიებო სისტემის მეშვეობით უამრავ საინტერესო კვლევას და ინფორმაციას მოიძიებთ. მომხმარებელს სიახლეების მისაღებად ასევე შეუძლია საინფორმაციო ბიულეტენის გამოწერა.



შვილობილი ვებგვერდები

Companyinfo.ge

კორუფციის საგამოძიებო ვებგვერდი 2021 წელს განვაახლეთ და მნიშვნელოვანი ახალი ფუნქციები შევძინეთ. მისი გამოყენებით მარტივად იძებნება ადამიანების ბიზნესინტერესები, კომპანიების მმართველები და მფლობელები და მათ შორის კავშირები. ვებგვერდი ასევე ასახავს ადამიანებისა და კომპანიების პოლიტიკურ შემოწირულობებს და მონაწილეობას სახელმწიფო შესყიდვებში. ამ ინფორმაციის კომბინაციით კი საგამოძიებო ჟურნალისტებს, სამოქალაქო აქტივისტებსა და კორუფციით შეწუხებულ მოქალაქეებს რეალურად შეუძლიათ კორუფციის სავარაუდო შემთხვევების გამოვლენა.

Politicaldonations.ge

ეს ვებპორტალი საკმაო პოპულარობით სარგებლობს მედიის წარმომადგენლებსა და პოლიტიკური ფინანსებით დაინტერესებულებს შორის. ამ გვერდის გამოყენებით შეძლებთ დეტალურად მოიძიოთ პარტიების შემოწირულებები, შემომწირველების ვინაობა, შემოწირულებების ოდენობა და თარიღი თუ როდის, რამდენჯერ განხორციელდა თანხის ჩარიცხვა.

აქვე შესაძლებელია მეტი ინფორმაციის მოძიება პოლიტიკური პარტიების შემომწირველების ბიზნესინტერესებისა და მათი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის შესახებ, რაც მომხმარებელს სრულყოფილ წარმოდგენას უქმნის ამა თუ იმ შემომწირველის შესახებ.



Tendermonitor.ge

სახელმწიფო შესყიდვების მონიტორინგისთვის ეს პლატფორმა უნიკალურ საშუალებას წარმოადგენს. მომხმარებელს შეუძლია დეტალური ინფორმაცია მოიძიოს ტენდერების, დარეგისტრირებული მიმწოდებლის და შემსყიდველის შესახებ.

ვებგვერდზე ცალკე კატეგორიად ჯგუფდება კორუფციული რისკის მატარებელი ტენდერები. ჩვენი ვებგვერდი მომხმარებელს საშუალებას აძლევს შეტყობინებები ელექტრონული ფოსტის მეშვეობითაც მიიღონ - მაგალითად, დაინტერესებული კომპანია ვებგვერდზე დარეგისტრირების შემდეგ, მაშინ მიიღებს შეტყობინებას, როცა მის მიერ გაწეული მომსახურების/ნაწარმოები პროდუქციის ახალი ტენდერი გამოცხადდება.



Sakutreba.ge

ვებპორტალი მიწის რეგისტრაციის პროცესის გასამარტივებლად მოქალაქეთა გზამკვლევს წარმოადგენს და მათ ზუსტ ინფორმირებას ახდენს საჯარო რეესტრში წარსადგენად საჭირო დოკუმენტების შესახებ. ამავე, პლატფორმაზე მომხმარებლებს შეუძლიათ მარტივად მიადევნონ თვალი საკუთრების რეგისტრაციის ფაზებს. ამ ვებპორტალის მეშვეობით ვეხმარებით ყველა იმ მოქალაქეს, ვისაც ინფორმაციის ნაკლებობის გამო მიწა დღემდე არ აქვს დარეგისტრირებული.



Russianoccupation.ge

ამ ვებპორტალზე თავი მოვუყარეთ მასალას, რომელიც აღწერს 2008 წლის რუსული აგრესიის კვალს და რომელსაც მკვლევარები 11 წლის მანძილზე აგროვებდნენ. ფოტოებზე თვალსაჩინოდ არის ასახული, თუ როგორ განსხვავდება ომამდე და ომის შემდგომი მდგომარეობა ოკუპირებულ ქართულ სოფლებში. გადამწვარ და განადგურებულ ნასახლარებთან კურსორის მიტანით იმ მაცხოვრებელთა ვინაობას ამოიკითხავთ, ვინც ომის შედეგად გამოდევნეს. ასევე, ხელმისაწვდომია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ომის შემდგომ მომრავლებული რუსული სამხედრო ბაზების ამსახველი ფოტო-მასალა. მასალების ძირითადი წყარო NASA-ს ოფიციალური გვერდია.

Europeforgeorgia.ge

ვებპორტალი მოქალაქეებს საშუალებას აძლევს გაეცნონ კოალიცია ევრო-ატლანტიკური საქართველოსთვის საქმიანობას და კამპანიებს. ვებგვერდზე თავმოყრილია კოალიციის განცხადებები და დეტალური ინფორმაცია კამპანია „ძალა ევროპაშია"-ს აქტივობების შესახებ. ვებგვერდის მიზანია ხელი შეუწყოს საზოგადოების ინფორმირებულობის დონის ამაღლებას ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს მისწრაფების უპირატესობების შესახებ.



OGP.ge

საქართველო 2011 წლიდან „ღია მმართველობის პარტნიორობის" წევრია. ჩვენს მიერ შექმნილი ონლაინ პლატფორმა დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს თვალი ადევნონ საქართველოს პარლამენტის მიერ ღია მმართველობის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების პროგრესს. ვებგვერდზე ასევე თავმოყრილია ღია პარლამენტთან დაკავშირებული ყველა ძირითადი დოკუმენტი.



Chemiparlamenti.ge

ეს პორტალი საკანონმდებლო საქმიანობის შესახებ ცნობიერების ამაღლებისა და მოქალაქეთა ჩართულობის წასახალისებლად შეიქმნა. ის საშუალებას აძლევს ნებისმიერ მსურველს მოიპოვოს ინფორმაცია პარლამენტის წევრთა საქმიანობის შესახებ. ვებგვერდის საშუალებით მომხმარებელს ასევე შეუძლია საჯარო პოლიტიკასთან დაკავშირებული კითხვების დასმა ნებისმიერი დეპუტატისთვის. ვებპორტალი ასევე საშუალებას აძლევს მომხმარებელს გამოიწეროს SMS სერვისი და ინტერესის სფეროს შესაბამისად მიიღოს ინფორმაცია აქტუალური საკითხების პარლამენტში განხილვის თაობაზე, ასევე, მიაწვდინოს საკუთრი იდეა პარლამენტს.



კარგი კარიერული ბიძგი - სტაჟირების წარმატებული პროგრამა

ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთ ყველაზე ღირებულ და საამაყო მიმართულებას - სტუდენტთა სტაჟირების პროგრამას უკვე მეორე წელია პანდემიამ ვერაფერი დააკლო. ის წარმატებით განვახორციელეთ 2021 წელსაც და ერთმანეთზე უკეთესი ახალგაზრდებით დაკომპლექტებულ 4 ნაკადთან თანამშრომლობის პატივი გვერგო.

სულ 62 მოტივირებულ სტუდენტს მიეცა შესაძლებლობა, რომ თბილისის (18), რეგიონულ (29) და საპარლამენტო (15) ოფისებში მიმდინარე ცხელი და აქტიური პროცესების მონაწილე გამხდარიყო.

შარშან ჩვენს გუნდს კიდევ ერთი ყოფილი სტაჟორი ანი მესხი შემოუერთდა ასევე ყოფილი სტაჟორის მარიამ მამნიაშვილის პოზიციაზე, რომელიც, თავის მხრივ, კორუფციის გუნდის წევრად დაწინაურდა.

ყოველ წელს გვიწევს იმის გამეორება, რომ ჩვენთან სტაჟირება მომავალი კარიერული წარმატებისკენ უვიზოდ მგზავრობის ტოლფასია. ეს მხოლოდ სიტყვები არაა და კონკრეტული მაგალითებით არის გამყარებული. გარდა იმისა, რომ ჩვენს არაერთ სტაჟორს მიეცა ჩვენივე ორგანიზაციაში დასაქმების შანსი, მათ ასევე გაუღეს კარი სხვა ორგანიზაციებში საქმიანობის დასაწყებად.

თუმცა ყველაზე უკეთ ამ პროგრამის სიკეთეებზე თავად ის ახალგაზრდები მოგვითხრობენ, რომელთაც 2021 წლის სხვადასხვა მონაკვეთები კონკრეტულ საქმეებში ჩართულობით ჩვენთან ერთად გაატარეს:

თამთა კაპანაძე

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ სტაჟირების პროგრამაში 2021 წლის ივნისიდან ჩავერთე. მაღალი კონკურენციის მიუხედავად, საერთაშორისო ურთიერთობების მეორე კურსის სტუდენტმა, მაინც გადავწყვიტე აპლიკაციის გაგზავნა, რამაც საქართველოში ყველაზე კომპეტენტური და ავტორიტეტული გუნდის წევრად მაქცია.

სტაჟირება ნამდვილ სამსახურთან შეხების პირველი გამოცდილება იყო. ჩვენ საკრებულოებისა და სსიპ/ააიპ-ებისგან გამოთხოვილ ინფორმაციას ვაანალიზებდით. დოკუმენტებზე მუშაობის დროს ვაცნობიერებდი ჩემს პასუხისმგებლობას და ვგრძნობდი საქმის მნიშვნელობას. ჩემს მიერ შესრულებული სამუშაო დიდი კვლევისა და ყოველწლიური ანგარიშის ნაწილი გახდა, რომლის ნახვაც დამატებითი მოტივაცია აღმოჩნდა.

საერთაშორისო გამჭვირვალობის ჯგუფთან მუშაობა განსაკუთრებულად კომფორტული და ბევრის მომცემი გამოდგა. **ორგანიზაციასთან თანამშრომლობამ პრაქტიკულ და პროფესიულ უნარ-ჩვევებთან ერთად შემძინა საკუთარი თავის რწმენა და დისციპლინა.**

მიღებულმა გამოცდილებამ გზა გამიხსნა ახალი გამოწვევებისა და შესაძლებლობებისაკენ. ამჟამად, ვსწავლობ ნორვეგიაში, ოსტფოლდის უნივერსიტეტში, პარალელურად კი, რონდელის ფონდთან თანამშრომლობით საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში კრემლის პოლიტიკის მიმოხილვაზე ვმუშაობ.

თემური თექთუმანიძე

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ სტაჟირების პროგრამამ შესაძლებლობა მომცა მოკრძალებული წვლილი შემეტანა იმ მნიშვნელოვან საქმეში, რომელსაც ორგანიზაცია ემსახურება.

ჩემი ინტერესის ერთ-ერთი სფერო ხელისუფლების შტოების საზოგადოების მიმართ ანგარიშვალდებულების პრობლემაა, სტაჟირების ფარგლებში პრაქტიკულად გავეცანი იმ ძირითად პრობლემებსა და გამოწვევებს, რომელიც ხელისუფლების შტოებს შორის ურთიერთობასა და ანგარიშვალდებულებას უკავშირდება. შესაძლებლობა მომეცა უშუალოდ ჩავრთულიყავი პრობლემური საკითხების მოძიებასა და ანალიზში, რომელზეც აქტიურად მიუთითებს საერთაშორისო გამჭვირვალობა თავის ანგარიშებში და რომელიც აფერხებს საქართველოს დემოკრატიზაციის პროცესს.

მოხარული ვარ, რომ შესაძლებლობა მომეცა საკუთარი მცირე წვლილი შემეტანა საპარლამენტო ანგარიშის მომზადებაში.

ამასთანავე, პროფესიონალ და მეგობრულ გუნდთან მუშაობით მივიღე მნიშვნელოვანი გამოცდილება, რაც დამეხმარა პროფესიული ცოდნის შეძენასა და უნარების განვითარებაში.



გიორგი ეკალაძე

2021 წლის ნოემბრიდან შევუერთდი „საერთაშორისო გამჭირვალობა - საქართველოს“, როგორც სტაჟიორი პარლამენტის ოფისში. მინდა აღვნიშნო, რომ ეს ჩემი პირველი სამუშაო გამოცდილებაა. ვარ იურიდიული ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი და პროფესიული თვალსაზრისით, განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა აქ მუშაობა.

ჩემთვის უცხო არ იყო, რომ საქართველოსთვის კორუფცია დიდი გამოწვევაა, თუმცა ვინაიდან ხშირად მევალებოდა ინფორმაციის დამუშავება ამ საკითხზე, პრაქტიკაში ვნახე კონკრეტული პრობლემები, რამაც ჩემი თვალსაწიერი მნიშვნელოვნად გააფართოვა. ამავდროულად, კარგი გამოცდილება მივიღე კომპიუტერული უნარების თვალსაზრისით, რამეთუ ხშირად მქონდა შეხება სხვადასხვა პროგრამასთან.

და რაც ყველაზე მთავარია ჩემთვის, მიუხედავად მუშაობის დისტანციური ფორმატისა, ვგრძნობდი ძალიან მეგობრულ და უშუალო დამოკიდებულებას, რამაც მეტად გამიმარტივა ახალ გამოწვევებთან გამკლავება.

მარიამ ლაშხია

“საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ ზუგდიდის ოფისში სტაჟირება 2021 წლის ივნისი-ოქტომბრის განმავლობაში გავიარე. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის გამო სამუშაო პროცესი დისტანციურად წარიმართა, საკმაოდ დიდი გამოცდილება მივიღე.

ძალიან საინტერესო იყო კორუფციასთან დაკავშირებული კვლევების პროცესში თანამონაწ-ილეობა, გავეცანი მუნიციპალიტეტების საქმიანობის ჩემთვის აქამდე უცნობ დეტალებს, ასევე ვმონაწილეობდი „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს“ სამოქალაქო საბჭოების საქმიანობაში, რომლის მიზანიც ქალაქად თუ სოფლებში არსებული ინფრასტრუქტურული პრობლემების გამოვლენა და ადვოკატირებაა.

ყველაზე საინტერესო კი არჩევნების დაკვირვების პროცესი გამოდგა - 2021 წლის ოქტომბერში გამართულ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველ ტურში სტაციონარული დამკვირვებელი, მეორე ტურში კი უკვე მობილური ჯგუფის ხელმძღვანელი ვიყავი.

ვფიქრობ, TI-ში მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ჩემს მომავალ პროფესიულ თუ კარიერულ განვითარებას.

ედგარ ბრუტიანი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოში“ სტაჟირება 2021 წლის თებერვალში დავიწყე. **ამ ორგანიზაციაში სამ რამეს გამოვყოფდი, რაც განსაკუთრებით მომეწონა და, ვფიქრობ, ყველა წარმატებულ ორგანიზაციას უნდა ახასიათებდეს.**

პირველი არის ღიაობა - TI-ში დაგხვდებათ გუნდი, რომელიც ღიაა თქვენი იდეებისათვის და მზადაა მხარი დაგიჭიროთ. ჩემ შემთხვევაში, ეს იყო ონლაინ ქვიზების შექნის იდეა, რათა უფრო მეტად და სახალისო გზით გაგვევრცელებინა ცოდნა ევროპული ფასეულობების შესახებ.

მეორე ეს არის სხვადასხვა პროფესიის ადამიანებთან თანამშრომლობის შესაძლებლობა, რაც ზრდის როგორც თქვენი ცოდნისა და გამოცდილების მასშტაბებს, ასევე მეტად საინტერესოსა და სოლიდურს ხდის სამუშაოს.

მესამე კი არის ერთგვარი follow-up - სტაჟირების დასრულების შემდეგ ორგანიზაციამ გააგრძელა ჩემთან თანამშრომლობა. 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების დროს სტაჟიორთა ახალ ნაკადს ინფორმაციის დამუშავებასა და დახარისხებაში ვეხმარებოდი.

TI-ში მეგობრულ და პროფესიონალურ გუნდთან ერთად ნიჭიერი სტაჟიორებიც დამხვდნენ, რომლებთანაც თანამშრომლობა საკმაოდ სასიამოვნო და ნაყოფიერი იყო.

მეგი იაკობაძე

რატომ გადავწყვიტე სტაჟირების პროგრამაში ჩართვა? ამ მიმართულებით გარდამტეხი წერტილი აღმოჩნდა 2021 წელს ჩატარებული თვითმმართველობის არჩევნები. ერთი შეხედვით, ჩვეულებრივ პროცესზე დაკვირვებისას აღმოვაჩინე, რომ ჩემ რეგიონში, ახალციხეში კორუფცია უდიდესი პრობლემაა, რომელიც ხშირად, სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან არის ხელშეწყობილი. სწორედ, თვითმმართველობის არჩევნებზე დაკვირვების შემდეგ, მტკიცედ

გადავწყვიტე, გავმხდარიყავი საერთაშორისო გამჭვირვალობის სტაჟიორი, რამაც მომცა შანსი კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩემი, მცირედი, წვლილი შემეტანა.

სტაჟირება დამეხმარა ისეთი უნარების განვითარებაში, რომელიც სასარგებლოა ყველა აქტიური მოქალაქისთვის, როგორც პროფესიონალური, ასევე პიროვნული მიმართულებით, რათა აკონტროლოს და „პასუხი მოსთხოვოს“ ყველა სახელმწიფო ინსტიტუტსა და პირს, რომლებიც ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებში არიან ჩართულნი. ამ პერიოდში დავინახე რაოდენ დიდ პრობლემას გვიქმნის კორუფცია და შევიძინე ციფრული უნარები, რომლებიც დამეხმარება მათ აღმოჩენაში.

საერთო ჯამში, მივიღე უდიდესი პრაქტიკა, ასევე ჩემი ხედვა სახელმწიფო ინსტიტუტების მუშაობის მიმართ სხვა მიმართულებით შემოტრიალდა. ყველაზე მთავარი კი არის ის, რომ ვისწავლე – **თუ გვინდა თანამედროვე სახელმწიფოს აშენება ამ პროცესში მოქალაქეების ჩართულობა და მათი მხრიდან სახელმწიფოს „კონტროლი“ უაღრესად მნიშვნელოვანია.**

ნინო ჩოხელი

ჩემი სტაჟირება „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოში“ 2021 წლის ოქტომბერში დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაციის საქმიანობას წლების განმავლობაში თვალს აქტიურად ვადევნებდი და წარსულში არჩევნებზე სადამკვირვებლო მისიაშიც ვმონაწილეობდი, TI-ის გუნდთან პირდაპირი თანამშრომლობა და ორგანიზაციის „შიდა სამზარეულოს“ უკეთ გაცნობა, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო პროფესიული გამოცდილება იყო.

სტაჟირების პერიოდში სხვადასხვა საქმიანობაში ვიყავი ჩართული, მათ შორის, აქტიურად ვეხმარებოდი პიარისა და კორუფციის გუნდებს საგამოძიებო ჟურნალისტიკის კონკურსის ორგანიზებასა და პრივატიზაციის საკითხებზე მუშაობაში. აღსანიშნავია, რომ სხვადასხვა ტიპის დავალებების მომზადებამ შესაძლებლობა მომცა საჯარო ბაზებთან მუშაობის, მონაცემების მოპოვებისა და დამუშავების ახალი ტექნიკები შემესწავლა. მიუხედავად მრავალმხრივი გამოცდილებისა, ჩემთვის ყველაზე საინტერესო და დატვირთული 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების პერიოდი და შემაჯამებელ ოქმებზე მუშაობა აღმოჩნდა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ორგანიზაციის პროფესიონალიზმი და მთლიანი გუნდის პოზიტიური და კეთილმეგობრული დამოკიდებულება მისი თანამშრომლებისა და სტაჟიორების მიმართ, რაც დაკისრებული მოვალეობის ხარისხიანად და ეფექტურად შესრულებისათვის დამატებით მოტივაციას წარმოადგენს. **ამდენად, განვლილ სტაჟირებას როგორც პროფესიული, ისე პიროვნული განვითარების კუთხით ერთ-ერთ საუკეთესო, ნაყოფიერ და დატვირთულ პერიოდად შევაფასებდი.**

გულიკო ბეკურიშვილი

“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს” გუნდს 2021 წლის თებერვლიდან შემოვუერთდი, როდესაც ჩავერთე სტაჟირების ექვს თვიან პროგრამაში. პარალელურად ვსწავლობდი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების მეოთხე კურსზე.

სტაჟირება იყო დროში მოქნილი და სრულად მორგებული სტუდენტის გრაფიკზე. შესაძლებლობების ფართო სპექტრიდან გამომდინარე, საშუალება მომეცა, მემუშავა ჩემთვის საინტერესო საკითხებზე, პირველად წყაროებსა და კვლევით დოკუმენტებზე, ჩავრთულიყავი ორგანიზაციის სხვადასხვა გუნდის, მათ შორის, მედიისა და ანტიკორუფციული გუნდების, საქმიანობაში და წვლილი შემეტანა ქვეყნისთვის აქტუალური საკითხების ირგვლივ არსებული ინფორმაციის ანალიზში.

აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილ პოზიტიურ მხარეებთან ერთად, **ორგანიზაციის მთავარი ხიბლი მისი გუნდია, რომელიც პანდემიური სიტუაციის მიუხედავად, ჩვეულ და აქტიურ რეჟიმში განაგრძობდა მუშაობას.**

მანამდეც არაერთ სტუდენტურ პროგრამასა თუ სტაჟირებებში მიმიღია მონაწილეობა, თუმცა, **“საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოში” მიღებული გამოცდილება განსაკუთრებული იყო თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე. დაინტერესებულმა ახალგაზრდებმა აუცილებლად უნდა გამოიყენონ ეს შესაძლებლობა.**

ნინო კალაძე

“საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს” სტაჟირების პროგრამის შესახებ ბაკალავრის საფეხურზე სწავლისას შევიტყე და დიდი სურვილი გამიჩნდა საკუთარ თავზე გამომეცადა ახალი გამოწვევები და სიახლეები. ძალზედ მოხარული ვარ, რომ 2021 წლის იანვრიდან საშუალება მომეცა, ჩავრთულიყავი ამ პროგრამაში 3 თვის განმავლობაში.

სტაჟირებისას ახლოს გავეცანი ისეთ მნიშვნელოვან საკითხებსა და გამოწვევებს, რომლებიც ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილია. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ანტიკორუფციული გუნდისთვის საჭირო მონაცემთა ბაზების განახლებაზე მუშაობა, რომლის საშუალებითაც უკეთ

გავეცანი კორუფციასთან ბრძოლისთვის საჭირო ტექნიკურ დეტალებს. გარდა ამისა, ვიმუშავე ევროკავშირის და საბჭოთა ოკუპაციის შესახებ კითხვარების და ინფორმაციის შექმანასა და საზოგადოებისთვის მიწოდებაზე.

სტაჟირების პერიოდი განსაკუთრებული იყო არამხოლოდ ცოდნისა და პრაქტიკის გაღრმავების კუთხით, არამედ ჩემი პიროვნული უნარების განვითარებისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ სტაჟირების პერიოდმა ონლაინ ფორმატში ჩაიარა, გავიცანი TI-ს პროფესიონალების გუნდი და მათი მეგობრული განწყობა მნიშვნელოვანი პოზიტიური ფაქტორი იყო სტაჟირების პერიოდის განმავლობაში.

საერთო ჯამში, TI-ში მიღებულმა ცოდნამ და პრაქტიკამ დიდი კვალი დატოვა ჩემს პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაზე. ამჟამად ვარ პროექტის კოორდინატორი "საქართველოს სტრატეგიის და განვითარების ცენტრში" და TI-ში მიღებული გამოცდილება ყოველდღიურ საქმიანობაში არაერთი მიმართულებით მეხმარება.

ანა გობეჯიშვილი

სტაჟირების გავლა ისეთ ორგანიზაციაში, რომელსაც უდიდესი როლი მიიუძღვის კორუფციასთან ბრძოლაში, ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო გამოწვევა იყო. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" გუნდს 2021 წლის თებერვალში შევუერთდი და გავიარე ექვსთვიანი სტაჟირების პროგრამა, რომელიც უდიდესი გამოცდილების და ცოდნის მომტანი აღმოჩნდა.

მანამდე, მუდმივად ვადევნებდი ორგანიზაციის საქმიანობას თვალს, ვიცნობდი მის მისიას და მისწრაფებებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს" წევრობამ კი მიმახვედრა, თუ რამდენად დიდი ადგილი უჭირავს ორგანიზაციას ქვეყნის სწორ განვითარებაში.

ჩემთვის, როგორც სამართლის სპეციალობის სტუდენტისთვის, სტაჟირების პროგრამა კარიერული წინსვლის დასაწყისი იყო, პირველი ნაბიჯი დემოკრატიის სტაბილურობისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის ბრძოლაში.

კორუფციის აღქმის ინდექსი 2021

„საერთაშორისო გამჭვირვალობის“ 2021 წლის „კორუფციის აღქმის ინდექსში“ (CPI) საქართველოს **55 ქულა**, წინა წელთან შედარებით **ერთი ქულით გაუარესებული შედეგი** ჰქონდა.

180 ქვეყნის რეიტინგში, სადაც 100 ქულა კორუფციის აღქმის ყველაზე დაბალ, ხოლო 0 ქულა - ყველაზე მაღალ დონეს აღნიშნავს, ჩვენი ქვეყანა **45-ე ადგილს**, აღმოსავლეთ ევროპისა და შუა აზიის **რეგიონში კი მაინც პირველობას ინარჩუნებდა**.

„კორუფციის აღქმის ინდექსის“ ავტორები საქართველოში კორუფციის მხრივ არსებულ კონტექსტს შემდეგნაირად ახასიათებდნენ: *„სახელმწიფოს მიტაცება და ძალაუფლების კონცენტრაცია ასევე მნიშვნელოვანი პრობლემაა საქართველოში, რომელიც, 55 ქულით, რეგიონში ლიდერობს. მმართველი პარტიის დამფუძნებლის, ბიძინა ივანიშვილის გავლენა ძირითად ინსტიტუციებზე სახელმწიფოს მიტაცების განმარტებაში ჯდება, მიუხედავად იმისა, რომ ივანიშვილმა ფორმალურად დატოვა პოლიტიკა. მისმა პარტიამ, „ქართულმა ოცნებამ“, ბოლო წლებში საბოლოოდ ხელში ჩაიგდო სასამართლო და სამართალდამცავი ორგანოები, რითაც, ფაქტობრივად, შეაჩერა კორუფციასთან საბრძოლველად საჭირო პოლიტიკური იმპულსი.“*

საქართველოს ქულა მეტწილად განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ქვეყანაში დაბალია წვრილმანი მექრთამეობა. თუმცა, ამავე დროს, არსებული პრობლემები და გამოწვევები, ქმნის იდეალურ გარემოს კორუფციის გაღრმავებისთვის.

2012 წლის შემდეგ საქართველოს ქულა საგრძნობლად არ გაუმჯობესებულა, რაც ქვეყანაში ანტიკორუფციული რეფორმების სტაგნაციაზე მიუთითებს. სახელმწიფოს ინსტიტუტების მიტაცების ტენდენციის პარალელურად, საქართველოს მთავრობისთვის კორუფციასთან ბრძოლა არ წარმოადგენს პრიორიტეტს - ბოლო წლებში არ განხორციელებულა იმგვარი მასშტაბის ან ამბიციის რეფორმა, რომელიც ანტიკორუფციულ გარემოს გააუმჯობესებდა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ პრობლემებისა და გამოწვევების იდენტიფიცირების პარალელურად, თავის პოლიტიკის დოკუმენტებში თუ საჯარო მოწოდებებებით ხელისუფლებას სთავაზობს კონკრეტულ სამოქმედო გზებს, რაც ქვეყანას სტაგნაციიდან გამოიყვანს, მაღალი დონის კორუფციის აღკვეთაში დაეხმარება და მნიშვნელოვნად წინ წაწევს მსოფლიოში ყველაზე ფართოდ გამოყენებულ კორუფციის გლობალურ რეიტინგში, რომელსაც „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ბერლინის სამდივნო ყოველწლიურად აქვეყნებს.

კორუფციის აღქმის ინდექსი – საქართველოს შედეგები 2012-2021



ვაჯამებთ 2021 წელს - ვგეგმავთ 2022-ს

დონორები

შვედეთის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (Sida)

ნორვეგიის სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტრო

ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)

ღია საზოგადოების ფონდი

დანახარჯები ლარში



დონორებისგან მიღებული შემოსავლები ლარში



შემოსავლები წლების მიხედვით ლარში

წელი	ლარი
2000	115,248
2001	268,912
2002	34,745
2003	94,754
2004	269,708
2005	496,986
2006	696,646
2007	655,022
2008	683,793
2009	638,291
2010	557,973
2011	1,067,881
2012	2,088,474
2013	2,847,099
2014	1,862,643
2015	2,254,047
2016	2,476,755
2017	4,053,619
2018	3,775,214
2019	4,126,265
2020	5,004,421
2021	4,142,968
სულ	38,211,465



Crowe GE LLC
Axis Business Palace, 4th floor
2, D. Gamrekeli Str.,
Tbilisi 0160, Georgia
Main +995 32 290 45 22
www.crowe.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ვის: „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო'-ს აღმასრულებელ დირექტორს

აუდიტორის მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო"-ს (ორგანიზაცია) სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული სპეციალური დანიშნულების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აგრეთვე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის საქმიანობის შედეგებისა და ფონდებში ცვლილებების ანგარიშგებისაგან, საგრანტო საქმიანობის ანგარიშგებისაგან, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისა და ფინანსური ანგარშგების განმარტებითი შენიშვნებისაგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისაგან.

ჩვენი აზრით, თანდართული სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნა 2 – „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა"- ის შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების ((შემდომში ტექსტში ასს-ები) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ ორგანიზაციისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენს მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებები – ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი და გამოყენების შეზღუდვა

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნა 2 -ზე „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა", რომელშიც ასახულია, რომ ორგანიზაციას ჩამოყალიბებული აქვს სპეციფიკური სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც, წლების განმავლობაში, ამზადებს სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებას თავის დონორებთან და გამგეობის წევრებთან წარდგენის მიზნით. ამ პოლიტიკით არის მომზადებული წინამდებარე სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება, რის გამოც წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შესაძლოა არ იყოს შესაფერისი სხვა მიზნებისთვის ან სხვა მხარისათვის. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ საკითხთან მიმართებით.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

© 2021 Crowe GE

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ახსნა განმარტებითი შენიშვნა 2 – „მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა" შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან ორგანიზაციის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობის ან შეცდომებით გამოწვეულ, ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ორგზანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ორგანიზაციის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი

© 2021 Crowe GE

განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ორგანიზაცია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას მივაწოდეთ აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ალექსანდრე სხილაძე

პარტნიორი
Crowe GE LLC
მარტი 29, 2022